# საერთო გაზეთი

№36 (494) • 3 ოქტომბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## გრიგოლეტო – მიშას და ვოვას ერთობლივი ოპერის მთავარი სოლისტი



*გვესაუბრება კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:*

**— ბატონო გოგა, სახეზეა საარჩევნო კამპანია — ბრძოლა წესების გარეშე. „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს „ნაციონალები“ ღალატში სდებენ ბრალს.**

— პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ეს ბრალდება არ არის. პირისთვის ბრალის წაყენება სამძებრო ორგანოებში ხდება, ეს კი ცილისწამება, სადისტურ-ბოლშევიკური მეთოდოლოგია გახლავთ, რასაც „ნაცმოძრაობა“ ყოველთვის ძალიან აქტიურად იყენებდა იმიტომ, რომ ამ პარტიის დამფუძნებელის ფესვები ბოლშევიკური, ჩეკისტური სამყაროდან მოდის. მხედველობაში მყავს მიხეილ სააკაშვილი თავის ბიძიანად.



ერთიც და მეორეც საბჭოთა კავშირის უშიშროების სამჭედლოში გაიზარდნენ, ვგულისხმობ, მოსკოვის და კიევის დიპლომატიურ აკადემიას. ორივე ამ ინტერესების დაცვას ემსახურებოდნენ. იქვეა, ვაშაძეც, რომელიც 1976-დან 1981 წლამდე (სტალინის მერე, ასეთი რეპრესიები, დისიდენტური საქმიანობის და იმ ადამიანების მიმართ, ვინც თავისუფლებისთვის იღწვოდა და ილტვოდა, საბჭოთა კავშირიში არასოდეს ყოფილა) მოსკოვის დიპლომატიურ აკადემიაში სწავლობდა. იგი, დღესაც, ამ ბნელ დაწესებულებას, მშვიდობისა და თავისუფლების კუნძულს ეძახის. საბჭოთა დიპლომატია გარდა უშიშროების სპეცსამსახურებისა სხვა არაფერი ყოფილა. საბჭოთა დიპლომატიური მისიების შესრულებისას ყველას კაგებეს სკოლა ჰქონდა გავლილი და მის დავალებებს ასრულებდა. ეს ცნობილია. დღეს, საქართველოში, ჩამოიყვანეს ცნობილი რუსი პიარ-მენეჯერი, რომელიც პუტინს არჩევნებს „ულაგებდა“, ასევე, სობჩაკის საარჩევნო პიარ-მენეჯერი იყო. ახლა, აქ, იმისთვის ჩამოიყვანეს, რომ გრიგოლეტო ვაშაძეს კრემლის იდეების განხორციელებაში დაეხმაროს. მათი მიზანია კონკურენტს ისეთი რამ დააბრალონ, რაც ყოვლად წარმოუდგენელია. ჩემი შენ გითხარიო ისე გამოსდით — მთელი ცხოვრება თავად ემსახურებოდნენ რუსულ ინტერესებს და დღესაც ამას აკეთებენ. თუმცა, ღალატი სალომეს გადააბრალეს. ამას აჰყვა პრესის ძირითადი ნაწილი. ასეთი ბნელეთით მოცული სხვა ინსტიტუცია როგორიც, უმეტეს შემთხვევაში, ქართული პრესაა, ძნელი წარმოსადგენია. მეტსაც გეტყვით, მედია-სამყარო იქამდე დაეცა, რომ ტელეეთერში პირდაპირ ცილისმწამებლური კლიპები გაჩნდა ვითომდა სალომეს მოღალატეობაზე. საზოგადოების ამაზე მეტად დაცემა წარმოუდგენელია. ბოლშევიკურ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც, 1933 წელს გერმანიაშიც, ამგვარ კამპანიებს, აზროვნებას ექვსი მილიონი ებრაელი და დაახლოებით, 12 მილიონი ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქე ემსხვერპლა. ამიტომ, ვფიქრობ, ქართველი საზოგადოებისთვის ძნელი წარმოსადგენი და გასაგები არ უნდა იყოს რასთან გვაქვს საქმე. ეს, აბსოლუტურად, დესტრუქციული ძალაა. ახლა, მე, გეკითხებით: დამისახელოს ვინმემ თუნდაც ერთი ქვეყანა, რუსეთის გარდა, რომელიც საქართველოში დესტაბილიზაციით არის დაინტერესებული. არის ასეთი ქვეყანა? ასევე, მაინტერესებს: რომელი ქვეყანა არის დაინტერესებული დესტაბილიზაციით უკრაინაში გარდა რუსეთისა? ორივე შემთხვევაში — უკრაინაშიც და საქართველოშიც თავის თავში დესტაბილიზაციის მატარებელი სააკაშვილი გახლავთ. ყველაფერს აკეთებენ, რათა როგორმე დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამიტომ, შეკითხვა მარტივია: თუ ორივე შემთხვევაში — უკრაინაშიც და საქართველოშიც დესტაბილიზაცია რუსეთის ინტერესებშია და ამას ორივეგან სააკაშვილის ხელით აკეთებენ, ე.ი. ვის ინ-

3 გვ. →




### აქა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ვერ გაყიდა 9 მილიონად ცოლმა თავისი მომღერალი ქმარი, სახელად პაატა



## საქართველო კაცობრიობის სამშობლოა, ხოლო თეთრი რასა ქართველური მოდგმისგან არის წარმოშობილი

### მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი გია კვაშილავა საქართველოსა და ქართველი ერის შესახებ სენსაციურ მოსაზრებებს გვიზიარებს



**ქვეყნები იგონებენ ლეგენდებს, თხზავენ ისტორიებს, ჩვენ კი ვჩქმალავთ და ვმალავთ, თითქოს გვესირცხვილება ლაპარაკი, რაც სინამდვილეში ვართ, ანუ იმაზე, რომ კაცობრიობის აკვანი საქართველოში დაირწა და ადამიანმა გავრცელება საქართველოდან დაიწყო მსოფლიოში. ამაზე არათუ ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ხელისუფალთაც კი არ აქვთ წარმოდგენა.**





# ექვსი წელი „ქართული ოცნების“ გამარჯვებიდან

„ქართული ოცნების“ გამარჯვებიდან ექვსი წლისთავთან დაკავშირებით, პოლიტიკურ გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ცენტრალურ ოფისში მმართველი გუნდის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა პარტიის თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა.

**ბიძინა ივანიშვილი:** „შევიკრიბეთ იმ მიზნით, რომ გავიხსენოთ და დღევანდელი რეალობა კიდევ ერთხელ შევაფასო თ. სამწუხაროდ, 6 წელიწადი აღმოჩნდა ძალიან ცოტა იმისთვის, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია პრინციპულად შეცვლილიყო, თუმცა თქვენ მონაწილეები ხართ, აბსოლუტური უმრავლესობა თქვენგან და თუ არ მონაწილეობდით, კარგად გახსოვთ, რაც ხდებოდა 2012 წლამდე, 2012 წლის შემდგომ როგორ თანმიმდევრულად ვცვლიდით ჩვენ იმ სიმახინჯეებს და ქვეყანა ვითარდება და მიგვყავს სწორი მიმართულებით. მიუხედავად ამისა, როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, დღეს ის ძალები, რომლებიც თავის დროზე მართავდნენ ქვეყანას, ჩვენდა სასირცხვილოდ, აი ეს ძალები დღეს ცდილობენ, ისევ ვირტუალურ სამყაროში აცხოვრონ ჩვენი საზოგადოება. რაც დააშავეს თვითონ, იმას ცდილობენ გადააბრალონ „ქართულ ოცნებას“ და „ქართული ოცნებისგან“ მხარდაჭერილ კანდიდატს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს“.

„ყველაზე დიდი დანაშაული, დამეთანხმებით ალბათ, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაიდინა მისი მმართველობის პერიოდში და დანაშაულები ჰქონდათ ძალიან ბევრი, მაინც თუ შევაჯამებთ და შევადარებთ ერთმანეთს, იყო 2008 წლის ომში მათი პოზიცია და მითუმეტეს, არ დაიკარგებოდა ტერიტორიების 20 პროცენტი.

გახსოვთ, როგორ იქცეოდნენ, როგორ მიატოვეს დახოცილი ჯარისკაცები, როგორ უპატრონოდ ტყეში დატოვეს ცოცხალი ჯარი, სწორედ ეს თემა აქვთ დღეს ყველაზე მეტად წინა პლანზე წამოწეული. ყველაზე დიდი თავისი დანაშაული, რაც მათ ჩაიდინეს, ცდილობენ დღეს გადმოიტანონ და ჩვენ მოგვაბრალონ და მიაბრალონ საპრეზიდენტო კანდიდატს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, რომელმაც ძალიან ბევრი, თავისი მოღვაწეობის პროცესში იზრუნა იმისთვის, რომ რუსულ ჯარს ჭეშმარიტად დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორიები. მე მახსოვს და თქვენც კარგად გახსოვთ, ალბათ, როგორი პრინციპულობით გამოირჩეოდა ქალბატონი სალომე საგარეო მინისტრის რანგში, როგორ თანმიმდევრულად და როგორ ოსტატურად მოახერხა მან და ის იყო ძირითადი მასში, რომ ჩვენ რუსულ ჯარებს ტერიტორიები დავატოვებინეთ. ამის შემდგომ, სააკაშვილი პირდაპირი მნიშვნელობით, მე ჩემს გამონათქვამებში მაქვს ეს, როცა ოპოზიციაში ვიყავი, შემოუძღვა რუსულ ჯარს და დღეს საქართველოს ტერიტორიების 20% არის ოკუპირებული. აღმაშფოთებელია ის, რომ ეს ხალხი დღეს ცდილობს ისევ, რომ ჩვენ გადმოგვაბრალონ და ეს მოღალატეები, პირდაპირი მნიშვნელობით, მოღალატედ ცდილობენ მონათლონ ქალბატონი სალომე”.

„მედია რა დღეში იყო, პირდაპირი მნიშვნელობით, ტოტალურად იმართებოდა ერთი კაცისგან, დილიდან საღამომდე ტელევიზორთან იჯდა, ძირითადი პროფესია სააკაშვილის ეს იყო, პირდაპირი მნიშვნელობით მართავდა, თავის მოღვაწეობის 80%-ს ამას მოახმარდა. გახსოვთ გირგვლიანის და სხვა უდანაშაულო ახალგაზრდების მკვლელობები, ამასთან უნდათ იდენტური გახადონ ის დრამატული უბედურება, რაც სკოლაში განვითარდა, საზოგადოებისთვის იყო დიდი ტრავმა და დიდი სტრესი და ცდილობენ ამასაც, იმის ჩამდენი ხალხი, რასაც თვითონ აკეთებდნენ, ბავშვების ჩხუბი უნდათ რომ მიაბრალონ დღევანდელ მმართველ ძალას და იდენტური უნდათ გახადონ გირგვლიანის მკვლელობის. რაც შეეხება მედიაზე ზეწოლას და ბიზნესზე ზეწოლას, ეს საერთოდ ღიმილს იწვევს, ალბათ წუხანდელი გადაცემაც ნახეთ, რას ცდილობდა და სად წავიდა ეს კაცი, მართლაც შევხვდი მას ერთხელ და მართლაც დავეხმარეთ ჩვენ, ისევე როგორც ვეხმარებით ყველა ბიზნესს. მე ეს ვალდებულება დღესაც გამაჩნია, ნებისმიერი ბიზნესმენი, რომელიც მოდის ჩემამდე, ან მიდის პრემიერამდე, ან ხელისუფლების რომელიმე ნაწილთან, ყველას აქვს იგივე განცდა, რომ ჩვენ მაქსიმალურად დავეხმაროთ ბიზნესს და ხელი შევუწყოთ.

მაგრამ სხვა დანარჩენი გასაგებია, რომ ეს ღიმილისმომგვრელია მხოლოდ. ჩანაწერების ოსტატი ყოფილა ეს კაცი. ყველას და ყველაფერს იწერდა. რატომღაც, ეს ჩანაწერი არ აქვს და თუ ვინმეს გკითხავენ წუხანდელ გადაცემაზე, პირველი რაც უნდა უპასუხოთ, უპასუხეთ, რომ სადაა ჩანაწერები, ყველას იწერდნენ და გამოიტანოს ეს ჩანაწერებიც და გვაჩვენოს ამ საუბრის და შეხვედრის შესახებ“.



**კახი კალაძე, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივანი:** „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს ღალატს აბრალებს პოლიტიკური ძალა, რომელიც სალომე ზურაბიშვილის ძალისხმევით გაყვანილ რუსის ჯარს უკან შემოუძღვა საქართველოში. ამ პოლიტიკურმა ძალამ თავისი ავანტურისტული თუ მოღალატეობრივი ქმედებებით, მისცა რუსეთს შესაძლებლობა, აესრულებინა დიდი ხნის წადილი და განეხორციელებინა აფხაზეთისა და ცხინვალის სრული ოკუპაცია. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც მშვიდობიანი მოსახლეობა შეატოვეს მტერს (რომ არა ჩვენი პატრიარქისა და ეკლესიის თავდადება, ალბათ, ჩვენს გმირებს მიწასაც კი ვერ მივაბარებდით); მათ ომში მარცხი ჯერ გამარჯვებად მონათლეს და რუსთაველის გამზირზე აზეიმეს ხალხს, შემდეგ კი, მსხვერპლის როლი მოირგეს, მაგრამ, პარალელურად, ევროპის საბჭოსსაპარლამენტო ასამბლეის იმ რეზოლუციას მისცეს ხმა, სადაც რუსეთის ინტერვენცია კონტრშეტევად არის შეფასებული. ამ ორმაგი ღალატის ჩამდენმა პოლიტიკურმა ძალამ, დღეს პრეზიდენტის თანამდებობაზე რუსეთთან ორგანულად შესისხლხორცებული კანდიდატი შემოგვთავაზა, ხოლო ბოლშევიკური ოკუპაციის გამო ემიგრაციაში დაბადებულ, ნიკო ნიკოლაძის შთამომავალს და რუსულიბაზების საქართველოდან გამყვანს, სალომე ზურაბიშვილს — მოღალატეობა დასწამა.

უსუსური, ეგრეთწოდებული ფარული ჩანაწერებით, „ქართულ ოცნებას“ ბიზნესზე ზეწოლას აბრალებს კრიმინალური პოლიტიკური ძალა, რომლისთვისაც ბიზნესის რეკეტი, ბიზნესმენების შანტაჟი და დაშინება, ქონების მიტაცება ყოველდღიური მოვლენა იყო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არ არსებობს ბიზნესზე პოლიტიკური ზეწოლის არცერთი შემთხვევა და შესაბამისად, ვერავინ წარმოადგენს ამგვარი ფაქტის ვერცერთ მტკიცებულებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაციონალური მოძრაობისა და მისი მედიასაშუალებების უსუსური მცდელობა, განახორციელონ „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია, წარუმატებლობისთვის არის განწირული. „ქართული ოცნება“ ჩვენი მოსახლეობის წინაშე არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერასოდეს დაბრუნდება ხელისუფლებაში და ვეღარასდროს შეუქმნის საფრთხეს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას, ქართულ დემოკრატიას, ქართულ საზოგადოებას, ქართულ მედიას და რაც მთავარი დამნიშვნელოვანია, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“.

„ამ არჩევნებით უნდა დავამკვიდროთ ახალი, ჯანსაღი და დემოკრატიული კონსტიტუციური ტრადიცია. ჩვენ უნდა ავირჩიოთ საქართველოს პირველი ზეპარტიული პრეზიდენტი. სწორედ ასეთი პრეზიდენტი იქნება ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი: დიდი ქართველების შთამომავალი ქალბატონი, სამაგალითო მეუღლე, დედა და სამშობლოს პატრიოტი; გამორჩეული დიპლომატიური გამოცდილების მქონე ადამიანი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანაში; პრინციპული პოლიტიკოსი, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირდა ნაციონალური მოძრაობის რეჟიმს და წლების მანძილზე იბრძოდა სამართლიანობისა და დემოკრატიის დასაცავად. ეს არჩევნები იქნება კიდევ ერთი წყალგამყოფი სიმართლესა და სიყალბეს, პრინციპულობასა და უპრინციპობას, პროდასავლურობასა და ანტიდასავლურობას — „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის. სალომე ზურაბიშვილი იზიარებს იმ ღირებულებებს, რომელზეც დგას „ქართული ოცნება“, იზიარებს ჩვენი დღევანდელი განცხადების პათოსს და სწორედ ამიტომ დგას ის დღეს ჩვენთან ერთად. მოგიწოდებთ, კიდევ ერთხელ უთხრათ უარი სიყალბეს, უპრინციპობას და ანტიდასავლურ ძალას და არჩევნებში მხარი დაუჭიროთ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# გრიგოლეტო – მიშას და ვოვას ერთობლივი ოპერის მთავარი სოლისტი

1 გვ.

ტერესებს ახორციელებს მიშა? — ბუნებრივია, რუსეთის. მან იგივე გააკეთა 2008 წელსაც. სააკაშვილი ვისი ხელით აკეთებს ამ ყველაფერს? — უშიშროების თანამშრომლის გრიგოლეტო ვაშაძის, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად ისე დაინიშნა, რომ ამავდროულად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო და საერთოდ, აგვისტოს ომის დროს, რუსეთის მოქალაქე გახლდათ. ასეთი პრეცედენტი მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს — ადამიანი იმ ქვეყნის მოქალაქე იყოს, რომელთანაც შეიარაღებული კონფლიქტი აქვს და რომლის აგრესიის ქვეშაც სახელმწიფო იმყოფება. ამ შემთხვევაში, საქართველო, რუსეთის აგრესიის, ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა და ამ დროს, რუსეთის მოქალაქე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ამავდროულად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ასეთი რამ, მხოლოდ, სააკაშვილის მმართველობის დროს თუ იქნებოდა შესაძლებელი.

**— ბატონო გოგა, 2008 წლის ომი ახსენეთ. მოდით, მკითხველს მოვუთხროთ რეალურად, რა ვითარებაში და ვინ დაიწყო ომი?**

— დიახ, ახლა, რაც შეეხება იმ დიდ სიცრუეს, რომელშიც წლების მანძილზე ამყოფებენ საზოგადოებას და სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი ამას აყოლილია — თვლის, რომ სჯობს ტყუილები ვილაპარაკოთ. სტრასბურგში, ჰააგაში, ნიუ-იორკში, ჟენევაში ბევრად მოგებული დავრჩებით თუ ვიტყვით ისეთ ტყუილს, რომლის შესახებაც მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეს სიცრუეა. ხელებს ასავსავებენ, როგორ თქვა სალომემ, რომ საქართველო დამნაშავეაო. საქართველოს არაფერი დაუშავებია. საქართველო ოკუპირებულია რუსეთის იმპერიალიზმის მიერ და ეს პირველი მცდელობა არ არის. უკანასკნელი სამი საუკუნე საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიით იწყება. 1801 წელს საქართველოს სამეფო და მერე, საპატრიარქო ტახტიც გააუქმეს და რუსეთმა მიიერთა. მერე, ეს ყველაფერი რევოლუციის შედეგად დაკარგა და 1921 წელს საქართველოში ისევ ინტერვენცია, ოკუპაცია განხორციელდა, მერე 2000 წლებში სალომე ზურაბიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, როცა იგი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარი სრულად იქნა გაყვანილი, სააკაშვილმა კი 2008 წლის აგვისტოში ისევ შემოიყვანა. აბსოლუტური სიცრუეა ის, რომ თითქოს, სააკაშვილმა რუსულ სამხედრო აგრესიას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. არსებობს უამრავი მასალა, კადრი, ფილმი მაქვს გაკეთებული, სადაც სააკაშვილი პირდაპირ, ღიად ადასტურებს, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს, გამთენიისას ცხინვალს ცეცხლი გაუხსნა. მანამდე, ცხინვალიდან გაიყვანეს ოსური ეროვნების მოსახლეობა, ხოლო ქართველები ყველანი დატოვეს და ცეცხლი გაუხსნეს. ამიტომ, სააკაშვილი, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის წინაშეა დამნაშავე იმიტომ, რომ საკუთარ მოქალაქეებს გაუხსნა ცეცხლი და არა რუს ოკუპანტებს, რუსულ ინტერვენციას. რუსი ოკუპანტები საქართველოში რომ შემოვიდნენ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ისე მოკურცხლა, რომ 11 ათასი მანქანა იდგა აზერბაიჯანის საზღვარზე, ერთმანეთს ასწრებდნენ. ასე, რომ მედგარ წინააღმდეგობაზე ლაპარაკი, აბსურდია.

2008 წლის 2 ოქტომბერს, ორი თვის თავზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სტრასბურგში საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას მოაწერა ხელი, სადაც შავით თეთრზე წერია: ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის მიმართულებით გახსნილმა ცეცხლმა გამოიწვია გართულება და, პრაქტიკულად, ფართომასშტაბიანი ომი. ამ რეზოლუციას ხელს აწერს გოკა გაბაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, გიორგი კანდელაკი — ეს ავადხსენებული კაცი, რომელიც ევროპელ დიპლომატებს, პარლამენტის წევრებს ეუბნებოდა, რომ საქართველოს ვიზა-ლიბერალიზაციისთვის ხმა არ მიეცათ, ეს ცნობილია. ასეთი ბოროტმოქმედი გახლავთ კანდელაკი. მთელი ეს ორგანიზაცია ბოროტმოქმედთა ჯგუფია. ახლა, საზოგადოების გარკვეული ნაწილიდან, რომელიც მათ დღემდე უჭერს მხარს, ასევე, პრესის უგუნურობით ხდება პროპაგანდა, რაც ჩემი აზრით, სამარცხვინოა.

ნათელია, რასთან გვაქვს საქმე. ეს არის საქართველოში პოლიტიკური გამწვავების შემოტანის უბადრუკი მცდელობა, რაც ვერ მოხდება. ანუ, ეს არის საქართველოში რუსული რევანში, რომელსაც სათავეში უდგას „ნაციონალური მოძრაობა“ და ვითომ, მას გამოყოფილი „ევროპული საქართველო“. რას ჰქვია დავით ბაქრაძის „ევროპული საქართველო“?! ყველას კარგად გვახსოვს მისი მოწოდება — რუსული სამხედრო აგრესიისგან თავი დანა-ჩანგლით დაგვეცვა იმ დროს, როცა თავად წითელი ხიდისკენ გარბოდა თავის თანაპარტიელებთან ერთად.

**— თქვენ, პრესკონფერენცია გამართეთ, სადაც სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებები დოკუმენტურად დაადასტურეთ.**

— დიახ, და როგორც მოგახსენეთ, ერთ-ერთ დოკუმენტს თავად აწერენ ხელს, რაც ბოკერიას გადაწყვეტილებით გაკეთდა. 2008 წლის 2 ოქტომბერს რეზოლუცია მათ მიერ არის ხელმოწერილი, ანუ, დათანხმდნენ ამ რეზოლუციის შინაარსს, რომელიც მთელი საპარლამენტო ასამბლეის მიერაა დამტკიცებული. გარდა ამისა, სააკაშვილი 2008 წელს ამის შესახებ თავის გამოსვლაში პირდაპირ ამბობს. ასევე, არსებობს კადრები, სადაც მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გურგენიძე იგივეს იმეორებს: სეპარატისტების მიერ პროვოკაციის აღკვეთის მიზნით სამხედრო მოქმედებები დაიწყოო. არცერთი მათგანი რუსეთს არ ახსენებს. გარდა ამისა, მაქვს კადრები, სადაც ვაჟბატონი, საქართველოს დიდ პატრიოტად რომ მოაქვს თავი — გრიგოლეტო ვაშაძე ამბობს: რუსები, საერთოდ, არაფერშუაში არიან, ეს სეპარატისტები არიან, რუსები, საერთოდ, საქმის კურსში არ არიან აქ რა ხდებაო. აი ასეთი ვითარებაა. ჰაერზე კი არ ვლაპარაკობ, ყველაფერი დოკუმენტურად არის დადასტურებული. ყველა მასალა წარვადგინე, ნებისმიერ დროს შემიძლია ვთქვა როდის, ვინ, რა თქვა. ასე, რომ სურათი ნათელია. ჩემი ღრმა რწმენით, უბრალოდ, ამას, საქართველოს მოქალაქეების მხრიდან, გაანალიზება სჭირდება და სწორი გადაწყვეტილების მიღება — არჩევნებზე მისვლა და სალომე ზურაბიშვილის შემოხაზვა. იმიტომ, რომ ამდენად მომზადებული ყველანაირად — გამოცდილებით, ცოდნით, სკოლით — ფრანგული სკოლის დიპლომატია მსოფლიოში სახელგანთქმულია და თავისი ბიოგრაფიით, ფესვებით, ცხოვრების წესით, სხვა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არ მეგულება. მოსკოვში დაბადებულის, გაზრდილის, ჩამოყალიბებული რუსის საფრანგეთში დაბადებულ, გაზრდილ, ევროპელ სალომე ზურაბიშვილთან შედარება არც კი შეიძლება. ორი წელი და რვა თვე სახელმწიფო მინისტრი ვიყავი და მინდა გითხრათ, რომ სააკაშვილმა საქართველოდან ევროპელი დამკვირვებლების დიდი მისია გააგდებინა, რომლებიც აბსოლუტურად ყველაფერს აფიქსირებდნენ — ყველა გაფაჩუნებას, გასროლას, დაცემინებას. ეს ანგარიშები ყველაფერი დევს სტრასბურგშიც, ჰააგაშიც, ბერლინშიც, ნიუ-იორკშიც, ვენაშიც და ვაშინგტონშიც. ამიტომ, საუბარი იმაზე, რომ მაინცდამაინც სალომე ზურაბიშვილის ქართულ ეთერში ნათქვამი სიმართლე ავნებს საქართველოს, აბსურდია. ეს არის სრული დემაგოგია.

**— როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილი, გამარჯვების შემთხვევაში, დაასრულებს „ნაცებთან“ კოაბიტაციას?**

— სალომეს გამგელებული ებრძვიან იმიტომ, რომ მშვენივრად ესმით — მარცხისთვის არიან განწირულნი. რაც შეეხება კოაბიტაციის დასრულებას, ეს კიდევ ერთი მითია, რომ პრეზიდენტი რაიმეს დაასრულებს და ა.შ. „ნაცმოძრაობის“ ნამსხვრევი — ბაქრაძე დადის და იძახის: პენსიას გავზრდიო, გრიგოლეტო ამბობს: პენსია 400 ლარი გახდებაო. ეს ხომ ტყუილია. დღევანდელი კონსტიტუციით მსგავსი უფლება პრეზიდენტს არ აქვს. სააკაშვილი უცხოეთიდან გაჰყვირის: 28 ოქტომბერს დავამთავრებთ „ქართულ ოცნებას“ და მის მმართველობასო. ეს ყველაფერი სიცრუეა იმიტომ, რომ დღევანდელი კონსტიტუციით არანაირი მსგავსი უფლებები პრეზიდენტს არ აქვს — ვერც ვერაფერს დაამთავრებს, ვერც პენსიას გაზრდის, ეს არ არის მისი კომპეტენცია.

გრიგოლ ვაშაძე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ბირთვული განიარაღების კომიტეტში მუშაობდა. როგორ ფიქრობთ, ვინ გააკარებდა კრემლის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ბირთვული განიარაღების კომიტეტში ადამიანს, რომელსაც რუსეთის უშიშროების კომიტეტში სათანადო ინსტრუქტაჟი არ ჰქონდა მიღებული. ეს ხომ სასაცილოა. საერთოდ, სასაცილოა, რომ ეს ადამიანი საქართველოში აღიქმება როგორც პოლიტიკური ფიგურა. ასეთი ხალხი ადრეც იყო მაღალ თანამდებობაზე, მაგალითად, იგორ გიორგაძე, რომელიც განსხვავებით გრიგოლეტოსგან, არასდროს მალავდა, რომ რუსეთის უშიშროების თანამშრომელია. იგი, პირდაპირ ამბობდა, რომ საქართველოს მხოლოდ რუსეთთან ერთად ხედავდა. ამიტომაც არის დღეს მოსკოვში. იგივეა, ვაშაძეც — რუსეთიდან მისი ამფსონები ცდილობენ მას საქართველოში ხელისუფლების რაღაც წილი ერგოს, რომ მერე რაც შეიძლება მეტი პრობლემა შეუქმნან ქვეყანას, ეს ფაქტია.

**— მისი ბიოგრაფიის მიუხედავად, დღეს, ვაშაძე პრო-დასავლელად გვევლინება. მეტიც, ევროპის სახალხო პარტიაც კი უჭერს მხარს. ეს რა ფენომენია?**

— ეს არის იმ ფსევდო-ლიბერალიზმის შედეგი, რაც პრაქტიკულად, ევროპას ანგრევს და თავისი მავნე გავლენით მთელი მსოფლიო შეარყია. რაც შეეხება ევროპის სახალხო პარტიას, მათი ლიდერი დონ პედრო, აქ, ჩამოდიოდა და მერაბიშვილს პოლიტპატიმარს ეძახდა. მოგვიანებით კი სამარცხვინო მოვლენების მომსწრე გავხდით — დეპუტატების მთელი წყება, უბრალოდ, პოლიტიკური მექრთამეები არიან, რომელთაც სათავეში დონ პედრო უდგათ. მათ წინააღმდეგ, მექრთამეობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმეც არის აღძრული, ეს ნათლად აჩვენებს რა ვითარებაში არიან ფსევდო-ლიბერალური ძალები.

**— ვაშაძე გვპირდება შევიწყალებ სააკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიასო.**

— ეს გეგმის ნაწილია. მისი ფუნქცია არის შეიწყალოს სააკაშვილი, ახალაია, ადეიშვილი და ამით შეეცადოს საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევას. ეს გამოიწვევს ქართველი ხალხის უკმაყოფილებას, ესენი დაეყრდნობიან თავიანთ სექტას, მისი ნამსხვრევები პარლამენტის შენობის წინ დგანან, ესეც დესტაბილიზაციის მცდელობაა. ეს რუსული გეგმის ნაწილია, რასაც ვაშაძე არც მალავს, პირდაპირ აცხადებს რისთვისაც მოდის.

ასე, რომ არ უნდა დაგვავიწყდეს ის საფრთხე ვინ დგანან მეორე მხარეს — ცოცხებით გამაუპატიურებელთა პარტია, რომლის საპრეზიდენტო კანდიდატის გინება დედის ნანასავით ესმით ჟურნალისტებს — რუსულად კარგად ჟღერს გინება, ხოლო ტვინის განძრევა — შეურაცხყოფაა. ადრე, ქმედება ცოცხით ხდებოდა, ახლა, ვაშაძე ამას სიტყვით აკეთებს, რაზეც რეაქცია არ აქვთ. მოდით, ქართველებო ამაზე დავფიქრდეთ და ძნელი მისახვედრი აღარ იქნება რა არჩევანი უნდა გავაკეთოთ.





**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# კაგებეშნიკო ვაშაძე და სააკაშვილის მონავ, ბაქრაძევ, არც იოცნებოთ საქართველოს პრეზიდენტობაზე — ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს!

**ვახტანგ ხარჩილავა:**

სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ ნაციონალების მიერ აგორებული შავი პიარი დიდი ხანია, გასცდა დასაშვებ ნორმებს და სისხლის სამართლის დანაშაულში გადაიზარდა.



ფაქტობრივად, ეს არის ადამიანის დევნა პოლიტიკური ნიშნით, მისთვის საარჩევნო კამპანიის ნორმალურ, ცივილიზებულ პირობებში ჩატარებისთვის ხელის შეშლა ნებისმიერი მეთოდებით, მისი ღირსებისა და პატივის მიზანმიმართული შელახვა გამოგონილი ბრალდებებით, რაც უაღრესად ცინიკური და ამაზრზენი ფორმებით ხორციელდება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ნაცმოძრაობამ“ საქართველოში ინკვიზიციის შავბნელი დრო დააბრუნა და „კუდიანებზე“ ნადირობა დაიწყო.

მოვუწოდებთ საქართველოს ხელოსუფლებას — იმოქმედეთ კანონის მიხედვით და დაუსჯელობის სინდრომით გაპარპაშებულ კრიინალებს პასუხი მოსთხოვეთ.

ის, რაც სალომე ზურაბიშვილის მისამართით ხდება, ეს არა მარტო ქალბატონი სალომეს, არამედ ყველა ღირსეული და საღად მოაზროვნე ქართველის, მთელი ქართული სახელმწიფოს შეურაცხყოფაა, რადგან ხდება გაუგონარი რამ — ნამდვილი დამნაშავეების მიერ ქვეყნისა და ერის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის სხვებისთვის გადაბრალება.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ იცის, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მათი ყოფნაარყოფნის საკითხი დგას — თუ სალომე ზურაბიშვილი გაიმარჯვებს, ეს იქნება მათი პოლიტიკური დასასრულის დასაწყისი, რაც აუცილებლად დამთავრდება ქართული ნიურნბერგის პროცესით.

ამიტომაც იბრძვიან ისინი ასეთი თავგანწირვით სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ.

**გარდა სალომე ზურაბიშვილისა, მათთვის მისაღებია ნებისმიერი სხვა კანდიდატის გამარჯვება, რადგან ამით ნაციონალებს გადარჩენის შანსი უჩნდებათ, „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა კი საქართველოს დამარცხებას ნიშნავს.**

„ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც იცის, რომ მათი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს, არჩევნებისთვის კი არა, დესტაბილიზასიისთვის, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებისთვის, ქაოსისა და არეულობის მოსაწყობად ემზადება.



— სამარცხვინო კამპანია, რომელიც თქვენი მხრიდან წარიმართება ქალბატონი კანდიდატის მიმართ, არც კაცობა, არც არაფერი არ შეიძლება ამას ეწოდოსო, — უთხრა ირაკლი კობახიძემ ნაციონალებს.

კი, მაგრამ, რა კაცობაზე ელაპარაკებით ამათ, ბატონო ირაკლი, სად აქვთ ამათ კაცობა და ადამიანობა?

ბატონმა ირაკლიმ ისიც ბრძანა, ამათ მიერ აგორებულ შავ პიარს ჩვენ შავი პიარით არ ვუპასუხებთ, თორემ განა არ ვიცით, ვაშაძეს რუსეთი გულში რომ ჰყავს სამარადისოდ აღბეჭდილი და მისი სახით საქართველოს პრეზიდენტობაზე რუსეთის განუყოფელი ნაწილი რომ იყრის კენჭსო.

თუ ეს ყველაფერი ვიცით, მაშინ რატომ გაატარა რეგისტრაციაში საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კაცი, რომელიც ოკუპანტი ქვეყნის სიყვარულს გულით ატარებს და მისი განუყოფელი ნაწილია?

მართალია, ლუსტრაციის კანონი ვერა და ვერ მივიღეთ, მაგრამ ამხანაგი გრიგოლის ბიოგრაფიის პატრონს რა ლუსტრაცია სჭირდება, ისედაც თავიდან ბოლომდე ლუსტრირებული არ არის?

მართალია, ნაკლებად არის ეს მოსალოდნელი, მაგრამ ხომ არსებობს ალბათობა, ეს რუსეთის ნაწილი, რუსული პოლიტიკის ბარაქიანი ძუძუთი გაზრდილი, ფაქტობრივად, რუსი პოლიტიკოსი გრიგოლ ვაშაძე, რაღაც მანქანებით, საქართველოს პრეზიდენტი გახდეს?

თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, რუსეთი ზესახელმწიფოს, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ერეოდა და თუ მოინდომებს, მოსკოვის ერთი უბნის ხელა სახელმწიფოში თავისი კაცის გაყვანა არ უნდა გაუჭირდეს.

ძალიან მაინტერესებს, ეს რომ მოხდეს, რას ვშვრებით?

შავ პიარს შავი პიარით ხომ არ ვუპასუხებდითო, ვიტყვით?



ამ განცხადებამ გასული საუკუნის 90-იან წლებში ნათქვამი ერთი ისტორიული ფრაზა გამახსენა: დაე, მათ ტყვიები გვესროლონ, ჩვენ კი ვარდები ვესროლოთო.

როგორი საბედისწერო შედეგებით დამთავრდა ეს ყველაფერი, ყველას კარგად ვახსოვს...

შავ პიარს შავი პიარით არა, მაგრამ სიმართლით აუცილებლად უნდა ვუპასუხოთ.

პრობლემა ის არის, ჩვენ ამ სიმართლესაც რომ ვერ ვამბობთ ბოლომდე.

ვერ ვამბობთ ამ სიმართლეს ვერც „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი უსასტიკესი რეჟიმის შესახებ, ვერც 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შესახებ და თუ რაიმეს ვამბობთ, ვამბობთ ფრაგმენტულად, ზედაპირულად, სასხვათაშორისოდ.

არადა, ამ სიმართლის დამამტკიცებელი უამრავი ფაქტი, უამრავი დოკუმენტური მასალა არსებობს, რომლის ამოწევას და სამხილების ტომეულად დალაგებას არაფერი არ უნდა, პოლიტიკური ნების გარდა.

ეს სიმართლე, ცხადია, არ დაიმალება და, ადრე თუ გვიან, „ნაცმოძრაობას“ და მის ლიდერებს აუცილებლად მოუწევთ სამსჯავროზე წარდგენა, თუმცა აუცილებელია, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს, რადგან ამ პროცესის დროში გაწელვამ შეიძლება ქვეყანა უკიდურესად დააზიანოს და დააძაბუნოს.

პინოჩეტი 80 თუ 82 წლის იყო, სამართალმა კარზე რომ მიუკაკუნა.

**ღმერთმა გვაშოროს და თუნდაც ყველანი რომ გავწყდეთ და ერთი ქართველი რომ დარჩეს ცოცხალი, იმ ერთი ქართველის ხელით სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, უგულავას, ბოკერიას, ბაქრაძეს, სხვებს და სხვებს, 80 წლის იქნებიან ისინი თუ 90-ის, აუცილებლად მიუკაკუნებთ სამართალი კარებზე, რადგან დანაშაული, რომელიც მათ აქვთ ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე, ჩამოწერას და ანულირებას არ ექვემდებარება.**

— აგვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე იტალიაში სააკაშვილი შეხვდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს. სწორედ ამ შეხვედრაზე შეთანხმდა და დაიგეგმა აგვისტოს ომის სცენარი. — არ უთქვამს ეს სალომე ზურაბიშვილს, ეს სულ სხვა პოლიტიკოსმა თქვა, თუმცა „ნაცმოძრაობას“ ამ უმძიმესი ბრალდებისთვის არ უპასუხია, რადგან მათ ხელს არ აძლევთ ამ თემის გარშემო დისკუსიის და დებატების გამართვა — იციან, რაც აქვთ ჩადენილი და დეტალებში ჩაკირკიტება და ჩაძიება მათთვის ხელსაყრელი არ არის.

ჩვენ ბევრს ვლაპარაჯკობთ აგვისტოს ომზე, მაგრამ ყურადღების მიღმა გვრჩება ის, რასაც სააკაშვილი აგვისტოს ომამდე აკეთებდა.

ძალიან მოკლედ, რამდენიმე წინადადებით ვიტყვი: სააკაშვილმა აღადგინა და საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში ე.წ. სამხრეთ ოსეთი, მიუერთა რა მას ახალგორიც, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს გამოეყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

სააკაშვილმა სახელი შეუცვალა კოდორის ხეობას და ზემო აფხაზეთი დაარქვა, რაც ასევე უყოყმანოდ დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენიოს ნაცვლად სააკაშვილმა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობა აღუდგინა სეპარატისტულ რეგიონებს, შექმნა სათანადო იურიდიული და სამართლებრივი ბაზისი ამ გაუგონარი მკრეხელობის „გასაპრავებლად“ და ყოველივე ეს მის მიერ დამონებულ და „დაჩმორებულ“ პარლამენტს დააკანონებინა, რის შემდეგაც ამ რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობა რუსეთს არ გასჭირვებია.

დღეს რუსული მავთულხლართები აბსოლუტური სიზუსტით მისდევს სააკაშვილის და ქართული პარლამენტის მიერ გავლებულ დაკანონებულ საზღვრებს.

აი, ამ შემზარავი ღალატის ჩამდენები დღეს სხვისკენ იშვერენ ხელს...

სხვისკენ იშვერს ხელს რუსული პოლიტიკის „ასკოლკა“ ვაშასძე, სხვისკენ იშვერს ხელს სააკაშვილის დანაშაულებრივი გადაწყვეტილებების დამკანონებელი, სააკაშვილის პირადი „ნოტარიუსი“ ბაქრაძე, ქართული სამართალი კი დუმს და, მასთან ერთად დუმს ქართველი საზოგადოებაც, რომელიც ვერა და ვერ ახერხებს, მკვეთრად და ნათლად თქვას: ნაციონალო ფარისევლებო, არ გაბედოთ სალომე ზურაბიშვილისთვის მოღალატის დაძახება, რადგან ზურაბიშვილი კი არა თქვენ თვითონ ხართ ნამდვილი მოღალატეები და ქვეყნის გამყიდველები.

არც იმის გამბედაობა ყოფნის ვინმეს, რომ ამ ორ პოლიტიკურ შულერს, ვაშაძეს და ბაქრაძეს, პირში მიახალოს: კაგებეშნიკო ვაშაძე და სააკაშვილის მონავ, ბაქრაძევ, არც იოცნებოთ საქართველოს პრეზიდენტობაზე — ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს!




# საქართველოსკენ

ამ წიგნს შესანიშნავი დასაწყისი აქვს — დინამიკური, დამაინტრიგებელი, საინტერესოსა და მნიშვნელოვანის მოლოდინით დაყურსული, ისეთი, ექსპოზიციის ქრესტომათიულ ნიმუშადაც რომ გამოდგება.

1921 წლის 18 მარტი... ბათუმის ნავსადგურში, ფრანგულ გემზე, ის უკანასკნელი მგზავრები დგანან, რომლებიც იძულებით ტოვებენ სამშობლოს. მგზავრებს შორის არიან ივანე ზურაბიშვილი და მისი მეუღლე ნინო ნიკოლაძე. თან 15 წლის ვაჟი ახლავთ — ლევანი. გემზე ერთი ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალიც არის, აგრაფინა თავართქილაძე, ქმართან — მელქისედეკ კედიასთან ერთად. მათი შვილი უკვე საზღვარგარეთ, ლტოლვილობაში დაიბადება. გოგონას ზეინაბს დაარქმევენ. ეს ორი ოჯახი ისევე, როგორც საქართველოს გახიზნული მთავრობა, იმ განწყობით მიემგზავრება, რომ მალე აუცილებლად დაბრუნდება სამშობლოში. ეს „მალე“ შვიდ ათეულ წელს გაგრძელდება და დაბრუნებას მხოლოდ იმ ლტოლვიობაში დაბადებული გოგონას, ზეინაბისა და „ანატოლიის“ გემბანზე მყოფი ბიჭის, ლევან ზურაბიშვილის ქალიშვილიღა შეძლებს, ჯერ კიდევ არეულ-დარეული, პოსტკომუნისტური საქართველოს მღელვარე ცხოვრებაში გადაეშვება დიდი ბაბუის, ნიკო ნიკოლაძის მსგავსი გაუტეხლობითა და ბობოქარი ხასიათით; მერე კი ამ ორი ოჯახის და წინაპრების თავგადასავალს მოგვიყვება ბელეტრისტის ნიჭისა და ფხიზელი ანალიტიკოსის უნარის წყალობით.

უცხოური ხომალდის გემბანზე არის ერთი ძველი, მამაპაპეული, გაცრეცილტყავგადაკრული სკივრი, რომელიც მგზავრებთან ერთად რწევა-რწევით ტოვებს საქართველოს. ამბავი, რომელიც უნდა მოგვითხროს, ავტორისეული განცხადებით, „ამ სკივრის ამბავიცაა“. დოკუმენტურ პროზაში სიმბოლურ-მეტაფორული ელემენტის შემოტანა ბუნებრივია და ხვდები, რომ ეს იმ ქართული ზღაპრის ჯადოსნური სკივრია, რომელიც სასწაულების მოხდენაში ეხმარება პერსონაჟებს. ეს მამაპაპეული საკუთრება, რომელიც ყველგან, ყველა კონტინენტზე თან დააქვს უცხო ქვეყანაში დაბადებულსა და აღზრდილს, არა მხოლოდ მეტაფორულად, არამედ ლამის ხელშესახებად შეახსენებს დროთა დარღვეული კავშირის აღდგენის აუცილებლობას და გამუდმებით მოაგონებს შორეულ სამშობლოს.

ამ წიგნის ავტორმა ქართული ზღაპრის პერსონაჟები ერთხელ ზეპირ გამოსვლაშიც ახსენა, ოღონდ უარყოფით კონტექსტში. ქაჯები — ეს ბოროტი არსებები — მისი ბავშვური ცნობიერების უღრმეს შრეებშია დალექილი და როცა უარყოფით პერსონაჟებისათვის სახელი უნდა დაექრმია, ისინი გაიხსენა, თუმც უცხოობაში განსწავლულმა ამ მეტაფორის ასახსნელად ვერ მოიშველია აკაკის ის სტრიქონები, ყველა ჩვენგანმა სკოლის მერხიდან რომ ვიცით: „ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელს“. სწორედ ამ ქაჯებისგან ქვეყნის დახსნას გულისხმობდა იპოდრომზე შეკრებილ მომიტინგეთა წინაშე სიტყვით გამოსული საქართველოს ექსსაგარეო მინისტრი.

ამ წიგნს ზუსტად მიგნებული სათაური აქვს — „საქართველოსკენ“. მისი ავტორიც ხომ მთელი ცხოვრება საქართველოსკენ მოილტვოდა, თუმც უცხოობაშიც თავი სამშობლოსგან გაუცხოებულად არასდროს უგრძვნია. ამიტომაც ამბობს საკუთარი დაბრუნების შესახებ: „ამას დაბრუნება არ ჰქვია, პირადად მე არასოდეს დამიტოვებია ეს ქვეყანა. თავი არასოდეს მიგრძვნია ემიგრანტად და არც დღეს ვფიქრობ, რომ სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტი ვარ“.

ამ წიგნის ავტორის შორეულ სამშობლოსთან სიახლოვეს იმანაც შეუწყო ხელი, რომ იმ წრეში აღიზარდა, სადაც საფლავის ქვაც კი საქართველოს სიყვარულზე ღაღადებს. წარწერა ლევილში, თავადი დადიანის საფლავზე: „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“.

ასეთ ეპიტაფიას წიგნის ავტორის ნებისმიერი წინაპარი იმსახურებს — ნიკო ნიკოლაძე თუ მისი სიძე-ქალიშვილი — ივანე ზურაბიშვილი და ნინო ნიკოლაძე, გნებავთ, მექი კედია და მისი ქალიშვილი ზეინაბი, რომელმაც, მიუხედავად ემიგრაციაში დაბადებისა, მეუღლესთან, ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, ლევან ზურაბიშვილთან ერთად, შვილები მისთვისაც კი უცნობი სამშობლოს სიყვარულით აღზარდა.

ამ წიგნში გამუდმებით ისმის წინაპართა ძახილი. ისინი მიწყივ უხმობენ სამშობლოსკენ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გავლა“ არ ღირსებია, მაგრამ „გასაკვირვებლად“ იცის, „რაა მამული!“





ამ წიგნში ჩვენი ქვეყნის უთვალავი ტკივილია გამჟღავნებული, მოყოლებული რუსული საბჭოთა ოკუპაციიდან იმ ომის ჩათვლით, რომელიც საქართველოს „რუსეთმა მოახვია თავს და აფხაზეთს ართმევს“.

ამ წიგნის ავტორს, პროფესიონალ დიპლომატს, ყველგან და ყველა სიტუაციაში უნივერსალურ იარაღად გულწრფელობა მიაჩნია. თუმც ყოველდღიურობაში გულწრფელობასთან შეზავებული მისი ემოციურობა ზოგჯერ სიფიცხედ აღიქმება. ეგებ ეს გაცხარება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ გარემომცველ სინამდვილეში ქართველის იმ იდეალურ თვისებებს ეძიებს, როგორიც უცხოობაში წარმოედგინა. ისე კი, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის და საჯაროდაც განუცხადებია, პრეზიდენტი მოვალეა, იყოს ტოლერანტული თავისი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის მიმართ, იზრუნოს შუღლისა და დაპირისპირების აღმოსაფხვრელად, ხელი შეუწყოს გახლეჩილ-გათითოკაცებული ქვეყნის გამთლიანებას.

ჩვენც უფრო შემწყნარებელნი უნდა ვიყოთ ქართულად მეტყველებისას უცხოენოვან გარემოში აღზრდილის მიერ დაშვებული შეცდომებისადმი — მთავარი აზრი და ქმედებაა. ნუ გაგიკვირდებათ და... არ მეხამუშება მისი კუთხური „მაშვინ“. აქაც მის არაცნობიერში დავანებულ კავშირს ვხედავ მშობლიურ მიწასა თუ წინაპრებთან. ასეთ დროს გალაკტიონისეული „სისოვლე“ მახსენდება — „ცივი სისოვლე“ — ქართული მიწის სინედლით რომ სუნთქავს.

ქალბატონ სალომეს პირადად არ ვიცნობ, ტელეეკრანზე მინახავს მხოლოდ. დღეს, როდესაც პრეზიდენტის ერთერთი მთავარი ფუნქცია საგარეო ასპარეზზე ვლინდება, სწორედ ის არის ქვეყნის სახე შინ თუ გარეთ. ვფიქრობ, საქართველომ უნდა გამოიყენოს სალომე ზურაბიშვილის დიპლომატიური გამოცდილება და ერუდიცია, პიროვნული ხიბლიც, მისი ისეთივე შეუპოვარი ლტოლვა დასახული მიზნისაკენ, როგორიც სამშობლოსკენ სწრაფვაში გამოამჟღავნა.

**ამირან გომართელი**





გელა ზედელაშვილი

# ღალატის ანატომია

## ვინ, როგორ და რატომ უღალატა ბიძინა ივანიშვილს?!

## მტრების ალლუმი



(დასასრული, დასაწყისი იხ. „სგ“ N28.

ბიძინა ივანიშვილის ღვაწლზე, მის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და საერთოდ, მის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე წერა უსასრულოდ შეიძლება. თუმცა ამ ეტაპზე ამ წერილით დავასრულებ და ერთგვარ, ანუ ჩემებურ დასკვნასაც დავდებ.

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი, აქვს თუ არა მას ჯადოსნური ჯოხი, რომელსაც აიქნევს, დაიქნევს და უამრავ სასწაულს ჩაიდენს? თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრის ჭკუით, ივანიშვილი არის რობოტი, უსულო, უგულო, უხორცო ადამიანი, რომელიც ფულის გარდა არაფერს იძლევა. გინდათ, უფრო ჰუმანურად ვთქვა? ბევრის მდარე გონებით, ივანიშვილი



არის ძროხა, რომელიც ფულს იწველება და იწველება, მას არ აქვს არაფრის დარდი, არ სტკივა, არ უხარია, უგრძნობია, რკინაა. სწორედ ამის გამო გაავდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი – 2012 წლიდან ჩვენში ბევრი "დოლარების წვიმას" ელოდებოდა და იმედი გაუცრუვდა. ამას წინებზე ერთ-ერთი ტელევიზიით სიუჟეტი გავიდა, სადაც ბირჟაზე ჩამომჯდარი კახელი იძახის, თუ ბიძინა ივანიშვილი ვერ გვინახავს, რუსებს მივუერთდებით და ისინი შეგვინახავენ, აბა, როგორო?! ვატყობ, ბატონ ბიძინას მალე ეტყვიან, ამ ქვეყნად მოსვლა არ გვითხოვია, შენ არ გაგვაჩინე, მაგრამ თავში ქვა იხალე და გვარჩინეო. პრინციპში, ამას გარკვეულ წრეებში უკვე ამბობენ კიდეც. კაი, კაი, მე არ გამიჩენიხართ, მაგრამ ჯანდაბას თქვენი თავი, მაინც გარჩენთო, – თქვა ივანიშვილმა და ასე ჩამოეკიდა 5 ათასამდე ადამიანი მის ჯიბეს. ამათგან ზოგი ხელოვანია, ზოგი სპორტსმენი, ზოგი მეცნიერი, ზოგიც ვითომ დამსახურებული მუშაკი. ალბათ, გახსოვთ, ორიოდე წლის წინათ მსახიობებს უთხრეს, შეიძლება სტიპენდიები (დახმარებები) შეგიწყდეთ, ქველმოქმედებასაც აქვს საზღვარიო... უთხრეს და ატყდა ერთი ამბავი – რას ჰქვია, შეგვიწყდეს, ჩვენ ეს დავიმსახურეთ და უნდა მოგვეცესო... ბიძინა ვინ არი, რო ეგრე მოგვექცესო?! ჰოდა, მართლაც, ბიძინა ვინ არი, რო ჯულიეტა ვაშაყმაძეს ყოველთვიურად 1000 (ათასი) ლარი არ მიართვას და მისმა ძემ კიდევ კვირაში ერთხელ ორი საათის განმავლობაში იგივე ბიძინას არ აგინოს?! ნუ, ეხლა, ქალბატონ ჯულიეტას ადგილზე ნამუსიანი ადამიანი ამ ფულს არაფრისდიდებით არ მიიღებდა, მაგრამ "დაიმსახურა" და რა ქნას? ეს ივანიშვილი კიდევ ის კაცი არ არის, გულში ბოღმა ჩაიბუდოს და ჯულიეტა გადააგდოს! თუ გინდათ, გიორგი შენგელაიას მაგალითი გავიხსენოთ კიდევ ერთხელ (ეს ხომ უმადურობის კლასიკური ნიმუშია?), რომელმაც პრეტენზიები წამოაყენა, ჩემ ძმას 5



ათასს აძლევს და მე კიდევ 3 ათასს, მაგას უნდა, რომ ძმები ერთმანეთს გადაგვკიდოსო. გამოგიტყდებით, როცა ბატონ გიორგის ვუყურებ, სიბერისა მეშინია, მაგრამ ზოგიერთი ახლობელი მანუგეშებს, არ იდარდო, ეგ ახალგაზრდობაშიც ეგეთი ოღრაში იყოო. არა, მეც კარგად ვიცნობ, ბევრი გვისაუბრია, რაღაც უპრინციპო პრინციპები კი აწუხებს, მაგრამ ამხელა ხელოვანმა ამ დონეზე რანაირად უნდა გაუბეროს?!

კარგი, გასაგებია და ერთ რამეზე ყველა ვთანხმდებით, რომ ეს კაცი უდიდესი ქველმოქმედია (თუმცა შალვა ნათელაშვილს ამაშიც შეაქვს ეჭვი), 2012 წლამდე მართლა სასწაულები ჩაიდინა, მაგრამ დარჩა თუ არა შემდეგ იგივე სასწაულმოქმედად და დაუშვა თუ არა საბედისწერო შეცდომები? ჩემი აზრით, ის ისევ დარჩა უდიდეს ქველმოქმედად, მაგრამ პოლიტიკაში დაუშვა შეცდომები. არა, ე.წ. ქართულ პოლიტიკას, ე.წ. ქართველ პოლიტიკანებს და ე.წ. ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს რომ ვუყურებ, ვფიქრობ, ეს შეიძლება ეს არც არის ივანიშვილის მიერ დაშვებული შეცდომები, ეს ჩვენი ბუნების, მოდგმისა და ჯიშის გამოვლინებაა. გავიხსენოთ 1937-იანი წლები, რატომ მოხდა, რომ რეპრესიებმა საქართველოში უფრო მძლავრად გაშალა ფრთები, ვიდრე აზრებაიჯანში, სასომხეთსა თუ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში? რატომ იყო ყველაზე მეტი მსხვერპლი ჩვენს ქვეყანაში? იმიტომ, რომ აქ უფრო მეტი ჩამშვები, მოღალატე და გამყიდველი აღმოჩნდა. წერდნენ და წერდნენ "დანოსებს" ავაზაკები პატიოსანი ადამიანების წინააღმდეგ. ამ ქვეყნის ცხოვრება ძალიან კარგადაა ასახული ფილმ "მონანიებაში". დრო გადის, ტექნოლოგიები ვითარდება, ცხოვრებაც თითქოს წინ მიდის, მაგრამ დააკვირდით, ჩვენი ცნობიერება ისევ ღალატით, გამყიდველობით, ბოღმით და ათასნაირი უბადრუკობით იკვებება. აქ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვები მახსენდება:

"ერთადერთი, ვინც ბრიუსელში, ევროკავშირში და ევროპარლამენტში ითხოვდა, რომ საქართველომ უვიზო მიმოსვლა არ მიიღოს, ესენი არიან დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი. მათ უთხრეს, კი, მაგრამ თქვენ არ ხართ საქრათველოს მოქალაქეები? კანდელაკს და ბაქრაძეს უთქვამთ, რომ ამ მთავრობის პირობებში არ არის სასურველი, საქართველომ უვიზო მიმოსვლა მიიღოსო. ამას რა უნდა დავარქვა, თუ არა მტრობა ჩვენი ხალხის".



ირაკლი ღარიბაშვილმა ეს თქვა 2015 წლის 19 ნოემბერს, ვიზა-ლიბერალიზაციის მიღებამდე. ახლა როგორ გგონიათ, იგივე კანდელაკი და ბაქრაძე 1937 წელს რომ მოსწრებოდნენ, არ იქნებოდნენ სახელოვანი "დანოსჩიკები"? იქნებოდნენ და ნახევარ საქართველოსაც აუგებდნენ ანდერძს, ყველა დარბაისელს დააპატიმრებდნენ, დახვრეტდნენ და ვინც გადარჩებოდა, გააციმბირებდნენ. ესენი იმათი შთამომავლები არიან, ხალხს გულაგებში რომ ალპობდნენ, სისხლი ყივის, გენი არ იკარგება. მართალია, გადამწყვეტ მომენტებში მოღალატეებს არ უმართლებთ, მათ წადილს არ ითვალისწინებენ, მაგრამ ქვეყანა მაინც ზიანდება. ბოლო პერიოდში პირადად ბიძინა ივანიშვილისა და მისი ყოფილი თუ ახლანდელი გარემოცვის წინააღმდეგ მიდის მასირებული შეტევა მიხეილ სააკაშვილის ტელევიზიის საშუალებით. განგებ ხდება ფაქტებისა თუ გამოგონილი ზღაპრების გამუქება, კორუფციული ჯოჯოხეთის დახატვა. ეს შეტევა უკრაინაში სააკაშვილის გაქსუების დღიდანვე დაიგეგმა, თავიდან გახლდათ გეგმა "ბ", მაგრამ დღეს უკვე გახდა გეგმა "ა". გავიხსენოთ მიხეილ სააკაშვილისა და მისი "რჩეულის", სოფო ნიჟარაძის საუბრის ფარული ჩანაწერი, სადაც "ნამაღლარი" მომღერალს ეუბნება, ნოდარ მელაძე უნდა გახდეს "ფილს კომანდერიო". ნიჟარაძე თავის მხრივ უმტკიცებს, რომ ნოდარმა ჩაისვარა და უკვე სუნი ასდის. გაიხსენეთ? ჰოდა, ახლა ნოდარი უკვე გახლავთ "ფილდ კომანდერი", რომელიც აცხობს და აცხობს ყოველ შაბათს ფარულ ვიდეო თუ აუდიო ჩანაწერებს. აქ ვერ გაიგებთ, რა დამონტაჟებულია და რა გამოგონილი, ბიზინა ივანიშვილთან დაახლოებული თუ ვერ დაახლოებული პირები საუბრობენ რაღაც გარიგებებზე,

წილების გადანაწილებაზე, აღებმიცემობაზე. შეიძლება ორი ადამიანი სულ სხვა თემაზე საუბრობდა, შეიძლება ბიზნესიც ახსენეს, შეიძლება ფულზეც წაუცდათ სიტყვა, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ ორივეს "დიქტოფონი" უდევს ჯიბეში. ხალხი ერთმანეთთან მეგობრობს, ისინი ერთად დადიან რესტორნებში, ერთმანეთს დითირამბებს უძღვნიან, ერთმანეთს ემაგობრებიან და ამავე დროს ერთმანეთს ფარულად წერენ. არის თუ არა ბიძინა ივანიშვილი ამ მხრივ შავ დღეში? რასაკვირველია, როდესაც ყოველი მეორე მოღალატე და პროვოკაციის მომწყობია, როდესაც ყველა "სპეკულიანტობს" შენი სახელით, რათა მილიონები იშოვოს, ეს ნამდვილად არ არის სასიამოვნო სანახავი და მოსასმენი. მით უმეტეს მაშინ, როცა გვარამია-მელაძის მიერ მომზადებულ ე.წ. სკანდალებს შენივე გუნდის წევრი "აპრავებს". აგერ, წინა შაბათს გამოგდებულ სიუჟეტში ვინმე დავით ჭიჭინაძეც მონაწილეობს, რომელიც ცოტა ხნის წინ დაითხოვეს "ქართული ოცნებიდან". ბატონი დავითი ისე ლაპარაკობს მწყაზარი სახით, გეგონება, ამ ხელისუფლებაში არ ბრძანდებოდეს და გეგონება, თავს არ იწონებდა, მე ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირი გახლავართო. ჰო, კიდევ ერთი... გეგონება, პარლამენტარობას სამშენებლო ბიზნესს არ უთავსებდეს და გეგონება, ზემოთ მჯდომისთვის "განკუთვნილი" სიკეთეებით არ სარგებლობდეს. ესე იგიო, პრემიერი და ვიცე-პრემიერი რომ 700 მილიონს მოიპარავენ, ქვეყანაში უკვე ძაან ცუდადაა საქმეო, – იძახის მელაძის გადაცემაში ბატონი ჭიჭინაძე. კი, მაგრამ ეს ის კაცია არ არის, ყოფილ პრემიერს კბილებით რომ



იცავდა და ამტკიცებდა, გიორგი კვირიკაშვილი ჩემი მეგობარიაო?! დიახ, იცავდა და იმასაც ამბობდა, გლეხს რომ რამის სწავლა უნდოდეს, ხელში თოხს არ აიღებდაო. ამ დროს კი აღმოჩნდა, რომ თვითონ ჭიჭინაძესაც არ ჰქონია უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული!

იცით, რატომ გავიხსენე ჭიჭინაძის მაგალითი? თქვენი არ ვიცი და... მე უკვე მრჩება შთაბეჭდილება, რომ უკვე ჩამოყალიბდა ხროვა, რომელიც ნელ-ნელა ფართოვდება და ირაზმება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. ამ ხროვაში ერთიანდებიან როგორც გარეულები, ისე შინაურები და როგორც ზვიად გამსახურდიას მაგალითმა გვიჩვენა, ამ შემთხვევაში შინაურები უფრო საშიშნი არიან. ახლა უფრო ცოტა შორს წავალ: ვინ გამოიყვანა პოლიტიკურ ავანსცენაზე ორი თენგიზი – კიტოვანი და სიგუა? რა თქმა უნდა, ბატონმა ზვიადმა. წინასწარ განჭვრეტდა პრეზიდენტი, რომ ცოტა ხანში ერთი რკონის ტყეში გავარდებოდა, მეორე კი თბილისის ზღვაზე დაბანაკდებოდა? რა თქმა უნდა, ვერა. ორი თენგიზიდან ერთმა, რომელიც უაღრესად განათლებულია და მე თუ მკითხავთ, ცოცხალი ენციკლოპედიაა, ჩემთან საუბარშიც აღიარა, რომ რაც მათ ჩაიდინეს, ეს გახლდათ წმინდა წყლის სამხედრო გადატრიალება. მეორე თენგიზი ისევ რკონის ტყეშია, ისე ძველ ჩვენებას აწვება და ჰგონია, რომ ის ეროვნული გმირია. არადა, მახსოვს, როცა ზვიად გამსახურდიამ სიგუა წარმოგვიდგინა პრემიერ-მინისტრად, მაშინ საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტში ვმუშაობდი და ყველა გახარებული იყო, ძალიან წამოსადეგი, ძალიან სიმპატიური პრემიერი გვყავსო. ბიძინა ივანიშვილმაც წარმოგვიდგინა არაერთი წარმოსადეგი და სიმპატიური პიროვნება, არაერთზე ამყარებდა იმედს... თქვენ წარმოიდგინეთ, როცა "ნაციონალების" მომავალზე ვედავებოდი, მაშინაც კი სჯეროდა, რომ ჩვენ დასაკარგი კადრები არ გვყავდა და როგორმე ისინი უნდა შემოგვებრუნებინა, ქვეყნის მშენებლობის საქმეში გამოგვეყენებინა. ის საერთოდ არ ფიქრობდა ღალატის ასეთ მასშტაბებზე. მეტიც, ბიძინა ივანიშვილი საერთოდ ვერ წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო და ვინმე ვანო ჩხარტიშვილს, რომელსაც არც ერთი ხელისუფლება არ ენდობოდა, ცხვირწინ გაუცოცხლებდნენ და რაღაც გაუგებარ გარიგებებში დაადანაშაულებდნენ. მოდით, ვთქვათ სიმართლე, რაში სჭირდება ივანიშვილს ვინმეს ტელევიზია (როცა თვითონ სამი ტელევიზია დახურა), ვინმეს სრულიად ურეიტინგო "იბერია", ან თამბაქოს წიტიანი ქარხანა, ან ავტომობილების ქარაქუცა გარაჟი? ამ ადამიანმა არაერთხელ გასაგებად განაცხადა, საქართველოში ბიზნეს-ინტერესები არ გამაჩნია და არც მომავალში მექნებაო. არა, მაინც აკვეხებენ ყველგან მის სახელს, მაინც ცდილობენ მისი სახელით რაღაც მაქინაციების ჩატარებას, რომელსაც მერე პოლიტიკური მტრები, ანუ პოლიტიკურ-სოციალური ავაზაკები იყენებენ. ეს ავაზაკობა დღეს არ დაწყებულა, ერთ საუკეთესო მაგალითს გაგახსენებთ: 2012 წლის ზაფხულში, "ნაცებისთვის" საბედისწერო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, რასაც ახლა "რუსთავი 2" აკეთებს, იგივეს აკეთებდა ე.წ. ტელეკომპანია "რეალ ტვ". ეს გახლდათ გურამ დონაძის მიერ მართული კანტორა (მაშინ გურამი გახლდათ დღევანდელი ნოდარი). მოდიოდნენ ამ "რეალ ტვ"-დან ე.წ. ჟურნალისტები – ვალერი კვარაცხელიას შვილი, თაკო კვარაცხელია და ლაშა ბერულავას ცოლი (გვარ-სახელი აღარ მახსოვს) ივანიშვილის პრესკონფერენციებზე, რათა მოეწყოთ პროვოკაციები. ერთხელ თაკო კვარაცხელია ეკითხება – ბატონო ბიძინა, ამ დილით რა დავალება მოგცათ ვლადიმერ პუტინმა? ბატონი ბიძინა გაღიზიანდა, დაუწყო ჭკუაზე დარიგება. მე ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ მივახალე: შვილო, თაკო, ეგ შეკითხვა მამაშენ ვალერის რომ დაუსვა, უკეთესად არ გიპასუხებს?! პროვოკატორები გაჩუმდნენ, სახეები წაეშალათ. აი, ნახეთ თავხედობის უმაღლესი დონე, იმ ადამიანის შვილი, რომელიც საბჭოთა კავშირის აღდგენაზე ოცნებობს და ვლადიმერ პუტინს გმირად მოიხსენიებს, ივანიშვილს პრორუსულობაში ადანაშაულებს. ეს გახლდათ დაგეგმილი პროვოკაცია და იგივე კამპანია გრძელდება დღესაც, ანუ მეთოდი "ნაცხუხულას" არ შეუცვლია. დიახ, რაც ხარ და იყავი შენ, ზუსტად ის უნდა გადააბრალო სხვას. მეტსაც გეტყვით, იმავე პერიოდში გურამ დონაძის ერთი მოწაფე გამოვარდა და დაიწყო მტკიცება, ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრა მთხოვა, შევხვდი და დიდი ფული შემომთავაზა, მაგრამ მე უარი ვუთხარიო. ეს ამბავი მაშინ საკმაო დოზით გასკანდალდა, მაგრამ მერე ე.წ. ჟურნალისტი ტყუილებში გამოიჭირეს და ამ სფეროდან საერთოდ გაქრა. იმ ბიჭის გვარსა და სახელს არ ვახსენებ, უკვე ფერფლწაყრილია, არ მინდა, საზოგადოების თვალში სარკოფაგიდან ამოვიღო. ფული არა, იხვის ტოლმა, ივანიშვილს რა სჭირდა (რა სჭირს) სამაგისო, ვიღაც გამვლელი პროვოკატორისთვის ფული შეეთავაზებინა, მის გავლენას დახარბდა, პროფესიონალიზმს თუ სახელსა და დიდებას? აი, ეს ბინძური კამპანია დღემდე გრძელდება და ახლა საქმეში უკვე ზაზა ოქუაშვილისა და ვანო ჩხარტიშვილის მსგავსნი არიან ჩარეულნი, რა თქმა უნდა, შინაური მტრების ხელშეწყობით. ვინ არის ლევან ყიფიანი, რომელიც თურმე ივანიშვილის სახელით საქმეებს აგვარებდა? ან აგვარებდა კი? მე ცოტა ეჭვი მეპარება. არავინ, ის მოხვდა "ქართული ოცნების" გუნდში ვიღაცის დამსახურებით და არა ივანიშვილის მეცადინეობით. დღეს "მავნები" გაჰყვირიან, ყიფიანი "ქართული ოცნების" დამფუძნებელი გახლავთო. უკაცრავად, 2011–2012 წლებში "ქართული ოცნების" დაფუძნების აქტს ხელს ყველა აწერდა და ბოლოს 3500 ადამიანი მოგროვდა (დაფუძნებისთვის ეს საჭიროზე მეტი იყო, თორემ მილიონებზეც ავიდოდა). ჰოდა, იმას ვამბობდი, დღეს მიდის ბინძური კამპანია ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, დაუკვირდით, შინაური და გარეული მტრები ცდილობენ, საეჭვო და გაყალბებულ ჩანაწერებში თუ უსუსურ ფაქტებში მისი სახელი გააკვეხონ. მიუხედავად იმისა, რომ სიცრუის ფაბრიკა მთელი ძალით მუშაობს, ამ მხრივ მაინც უჭირთ – ვერა და ვერ ნახეს სერიოზული ხელჩასაჭიდი!

რა უნდა ბიძინა ივანიშვილის სახელით მანიპულირებას და ვიღაც არიფების დაბოლებას? არც არაფერი! მაგალითად, ჩემთან ძალიან ბევრი რეკავდა, ძალიან ბევრი მოდიოდა (ახლაც ბევრს აქვს სურვილი), ამაზე ერთ-ერთ წინა წერილშიც მოგახსენეთ, ყველას რაღაცა ჰქონდა სათხოვარი. ამ შემთხვევაში მთავარი ის გახლდათ, რომ ტელევიზორში, პრესკონფერენციების დროს იხატებოდა საჩემო სურათი – ისე ჩანდა, თითქოს მე და ბატონი ბიძინა ყოველ საღამოს სტაფილოს წვენს ერთად მივირთმევდით. ახლა, მე რომ მავანთათვის დაპირებები მიმეცა, საქმეებს მოგიგვარებთ, "მაყუთი" დადეთ, ან წილში ჩამსვით-მეთქი, როგორ ფიქრობთ, უარს რომელი იტყოდა? არა, სულაც არ ეცოდინებოდა ივანიშვილს არაფერი, შემეძლო, უფრო დაბალ დონეებზეც მეჩალიჩა, ან საერთოდ არ მეჩალიჩა და რაიმე თაღლითური სქემა შემედგინა, ხომ ვიშოვიდო კაი "მაყუთს"? კი, რაღაცას მოვახერხებდი, მაგრამ როგორ ფიქრობთ, ამ მთხოვნელთაგან რამდენი ჩამწერდა ფარულად? სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ასიდან ასივე ჩამწერდა! სამწუხაროდ, ჩვენში არიან ადამიანები (ბიზნესმენები, საქმოსნები), რომლებსაც ყველა დროში მოსვრილი აქვთ ერთი ადგილი და როგორც კი პოლიტიკური სიტუაცია იცვლება, ეგრევე იწყებენ საქმეების მოკვარახჭინებას იქ, სადაც ჭუჭრუტანას ნახავენ. როდესაც მიხეილ სააკაშვილის ნიღბიანი ბიჭები შეცვივდნენ "იბერიაში", იქ ვიყავი, მთელი ღამე ეზოში გავატარე. ძალიან არ მომეწონა ეს ამბავი, მაგრამ სულო ცოდვილო, ახლა ვფიქრობ, ნეტა მართალი ხომ არ იყო სააკაშვილი? არა, ავტომატებით შევარდნას არანაირად არ ვამართლებ, მაგრამ როგორც ჩანს, ოქუაშვილებისა და ჩხეიძეების ბიზნეს-მიღწევები ყოველთვის უკავშირდება გადასახადების არგადაუხდელობას. მოიცადე, მე თუ ორიოდე თეთრი მაქვს შემოსავალი და აქედან ზუსტად ვიხდი ბიუჯეტში, შენ, გამილიონერებულო, რატომ არ იხდი წლების განმავლობაში, რა, წითელი კოჭი ხარ? იმ ხელისუფლებას ფეხებზე ეკიდა, არ გადაიხადე და დაგადგა ავტომატით, ესენი სიტყვიერად გეუბნებიან, ზრდილობიანად, თერთმეტჯერ გრაფიკსაც გიდგენენ და შენ მაინც უარს ამბობ, თან ვიღაც ყიფიანთან ლაყბობის ჩანაწერებს ავრცელებ, ეს სადაური წესია, ასე რომელი საზოგადოება დაგიდგება მხარში? სხვათა შორის, სააკაშვილის დროს ხალხი ნიღბებისა და ავტომატების გამო აღშფოთდა, თორემ არავის უთქვამს, ოქუაშვილი ცამდე მართალიაო. ისე, კი "ამათრახებენ" ირაკლი კობახიძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ოქუაშვილს დაჭერით დაემუქრაო. არა, ეს ვერ აღვიქვი მუქარად, მან ინგა გრიგოლიას გადაცემაში გასაგებად თქვა, თუ ოქუაშვილი ყიფიანს ქრთამს სთავაზობდა, ეგეც დასაჭერიაო. დიახ, ამას ამბობს კანონი, რომლის წინაშეც ყველა თანაბარია – ქრთამის მიმცემიც ისჯება და ამღებიც!



ალბათ, გახსოვთ, როგორც კი ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა, პირველივე შეხვედრა ჰქონდა აფთიაქარებთან, ანუ ფარმაცევტული კომპანიების მეპატრონეებთან. საუბარი დაძაბული გამოდგა, ბატონი ბიძინა მათ აკრიტიკებდა, რომ ქვეყანაში იყო კარტელური გარიგებები და მედიკამენტების ფასებს ეკიდა ცეცხლი. ამ შეხვედრის შემდეგ "ავერსის" თანამშრომლები მიყვებოდნენ, ჩვენი "უმფროსი" პაატა კურტანიძე ბრილიანტებით გაწყობილი ფეხსაცმელებით აღარ დადის, მზადაა, თუ საჭირო გახდება, "კალოშებიც" ჩაიცვასო. გამიკვირდა, რა ბრილიანტები, რის ატამი, რომელი კურკა-მეთქი? რას ამბობ, პაატა სულ ბრილიანტის თვლებით გაწყობილი ფეხსაცმელებით დადის, მაგრად ევასება, ეგეთი გემოვნება აქვს, ბიძინას გაპრემიერების შემდეგ გაიხადა და ჩვეულებრივი "ტუფლები" ჩაიცვა, ეტყობა, შიში შეეპარაო. გავიდა ცოტა დრო, რამდენიმე თვე და კურტანიძის იმავე თანამშრომლებს ვკითხე, თქვენი "უმფროსი" რას შვრება-მეთქი? ბუნებრივია, მოვიკითხე, დაჩაგრულ კაცს უყურადღებოდ ხომ არ დავტოვებდი? ჰოოო... კარგადაა, ისევ ბრილიანტიანები ჩაიცვაო, თავი სამშვიდობოს დაიგულაო. არ ვიცი, შეიძლება კურტანიძემ რაღაც დონეზე "ჩააწყო". ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, ფარული ჩანაწერი აუცილებლად ექნება, რა იცი, რა ხდება?!

აი, ასე, ჩემო ძვირფასო მკითხველებო... ამას წინებზე დავწერე, ბიძინა ივანიშვილის სახელი ბევრმა გამოიყენა, დღესაც ბევრი იყენებს და მომავალშიც ბევრი გამოიყენებს-მეთქი და ამ წუთასაც ამავე აზრზე ვარ. ალბათ, ივანიშვილმა იმის მეასედიც არ იცის, რაც მისი სახელით კეთდება და რასაც მისი სახელით კადრულობენ. კიდევ ბევრის თქმა და გახსენება შეიძლება, ამას მომავალში პერიოდულად გავაკეთებთ, ამჯერად კი აქ დავსვათ წერტილი.

# საქართველო კაცობრიობის სამშობლოა, ხოლო თეთრი რასა ქართველური მოდგმისგან არის წარმოშობილი

## მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი გია კვაშილავა საქართველოსა და ქართველი ერის შესახებ სენსაციურ მოსაზრებებს გვიზიარებს



**გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ცენტრის „ენა, ლოგიკა, მეტყველება“ მკვლევარი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევებისა და მულტიკულტურული განათლების ცენტრის სპეციალისტი, ბატონი გია კვაშილავა.**

– წლევანდელი წელი უფრო პროდუქტიული იყო. მრავალ ქვეყანაში ვიყავი, ბევრმა გაიგო ჩემი სამეცნიერო კვლევების შესახებ, თუმცა უნდა ითქვას, რომ საქართველოზე, მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე მსოფლიომ კვლავაც ძალიან ცოტა იცის.

25 წელიწადი არ არის, ალბათ, საკმარისი დრო იმისთვის, რომ გაგვიცნოს მსოფლიომ. ხელოვნებაში, ასე თუ ისე, გვაქვს ცნობადობა, მაგრამ მეცნიერებაში ნაკლებად.

თუნდაც კორეა და აზიის სხვა ქვეყნები ცდილობენ მეცნიერებაში თავი გამოიჩინონ, მაგრამ საქართველო, ამ მხრივ, ძალიან ჩამორჩება.

აკადემიკოსი, ბატონი თამაზ გამყრელიძის სიტყვებით ვიტყვი: „დღეს უნიკალური შანსი გვეძლევა ქართული კულტურის მსოფლიოში გაცხადებისა და დემონსტრირების, და ეს შესაძლებლობა ღირსეულად უნდა გამოვიყენოთ“.

მე, მაგალითად, კონფერენციებზე ზოგს რუსი ვეგონე, ზოგს — თურქი. დიდხანს დამჭირდა იმის ახსნა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის არის სახელმწიფო.

მეკითხებოდნენ — ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო არის?

**– არც კავკასიის შესახებ სმენოდათ რამე?**

– მართებულად შენიშნეთ და ახლა ზუსტად კავკასიაზე და კავკასიურ მოდგმაზე მინდა გესაუბროთ. ალბათ გსმენიათ **იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახის** შესახებ?

**– დიახ.**

– უფრო დაწვრილებით რომ გითხრათ, ბლუმენბახი გახლდათ გერმანელი პროფესორი, მედიცინის დოქტორი გიოტინგენის უნივერსიტეტში. იგი მოღვაწეობდა მე-18 ს-ის ბოლოს. იყო ანთროპოლოგიის ფუძემდებელი და ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების წევრი. სწავლობდა ადამიანის ორგანოების ფორმებსა და აგებულებებს.

მან კვლევისთვის დედამიწის ყოველი კუთხიდან შეკრიბა 245 ადამიანის თავის ქალა, შეისწავლა და დაწერა მონოგრაფია „ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი სახეობების შესახებ“. ბლუმენბახმა გააკეთა მრავალი ღირებული დაკვირვება ანთროპოლოგიაში, ფიზიოლოგიასა და შედარებით ანატომიაში.

1795 წლის 11 აპრილს მან გიოტინგენის უნივერსიტეტში მესამედ გადამუშავებული მონოგრაფია წიგნად გამოსცა.

მან ამ წიგნში სრული და ნათელი წარმოდგენა მოგვცა ქართველთა ყველაზე ლამაზ მოდგმაზე.

წარმოგიდგენთ ციტატას წიგნიდან: „**კავკასიური მოდგმა — ეს სახელწოდება ავიღე კავკასიის მთების სახელიდან ორი მიზეზის გამო. იმიტომ, რომ მისი მახლობელი ტერიტორია, განსაკუთრებით კავკასიის ქედის სამხრეთი ფერდობი წარმოშობს ადამიანთა ყველაზე ლამაზ მოდგმას, ვგულისხმობ ქართველებს. ყველა ფიზიოლოგიურ მიზეზებს იქეთ მივყავართ, რომ კაცობრიობის თავდაპირველი საცხოვრისი თუ სადმე უნდა განვათავსოთ, ყველაზე დიდი ალბათობით ამ რეგიონში**“.



ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა. XVIII ს.

ამ საკითხებზე კვლევები საქართველოშიც მიმდინარეობდა. ცნობილი არქეოლოგი, ანთროპოლოგი და ეთნოგრაფი **გიორგი ნიორაძე** აქტიურად მოღვაწეობდა ამ მიმართულებით.

1923 წელს გიორგი ნიორაძემ თემა წარადგინა ანთროპოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე გერმანიაში, ქალაქ ტიუბინგენში. ამ მოხსენებაში მან გამოკვეთა, თუ რატომ გამოიყენა ბლუმენბახმა ტერმინი კავკასიური მოდგმა.

ნიორაძე თავის წერილში, რომელიც **ივანე ჯავახიშვილს** გაუგზავნა, წერს: „ბლუმენბახმა წოდება „კავკასიური რასა“ იხმარა ქართველი ქალის საპატივსაცემოდ, როდესაც მან კაცობრიობა ხუთ რასად დაჰყო (მონღოლური, ამერიკული, კავკასიური, მალაიური და ეთიოპიური).“

ბლუმენბახის ამ კლასიფიკაციაში კავკასიურ, ანუ თეთრ რასას საფუძვლად ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა დაედო.

მაგრამ ვინ არის ეს ქართველი ქალი და როგორ მოხვდა ბლუმენბახის კლასიფიკაციაში?

ბლუმენბახს ერთ-ერთ თავის ნაშრომში ასეთი ამბავი აქვს აღწერილი: 1787–1791 წლის რუსეთ-თურქეთის ომში დაატყვევეს 19 წლის ქართველი ქალი და ჩაიყვანეს მოსკოვში, სადაც იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

იმხანად მოსკოვში მოღვაწეობდა გერმანელი პროფესორი **იოანე ჰილტებრანდტი**. მან დაათვალიერა ცხედარი და ითხოვა, რომ ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა მისთვის გადაეცათ.

ჰილტებრანდტმა დაწვრილებით შეისწავლა ეს თავის ქალა, გაოცებული დარჩა მისი სიმშვენიერით და 1790 წელს, თავის ქალა პეტერბურგში მოღვაწე სამხედრო ექიმს **გეორგ თომას ფონ აშს** გაუგზავნა. აღფრთოვანებულმა გეორგ აშმა თავის ქალა 1793 წელს ბლუმენბახს გადაუგზავნა გიოტინგენის უნივერსიტეტში.

მე უამრავჯერ შემხვდა კვლევების პერიოდში ბლუმენბახის თეორია კავკასიური რასის შესახებ, თუმცა თვალს ვარიდებდი, რადგან არ გახლავართ ანთროპოლოგი. ბოლოს ველარ მოვითმინე და მაინც ჩავუღრმავდი ამ თემას. გავაგზავნე წერილი გერმანიაში, გიოტინგენის უნივერსიტეტში — იყო თუ არა დაცული დახურულ ფონდში ახალგაზრდა ქართველი ქალის თავის ქალა. აგვისტოს თვეში გერმანიიდან შეტყობინება მივიღე, რომ ეს ქალა ბლუმენბახის ანთროპოლოგიის კაბინეტში დაცულია. რუსეთში ინახება ამ თავის ქალის თაბაშირის ასლი, რომელზეც ლათინური წარწერა ქართულად ასე ჟღერს: „გრუზინერუმი ბლუმენბახის კოლექციიდან“.

ბლუმენბახის ტერმინი „**კავკასიური მოდგმა**“ იმდენად გამოყენებადი გახდა, რომ ინგლისურენოვან სამყაროში „კავკასიელი“ ნიშნავს თეთრ ადამიანს.

ამის მაგალითად **ბარაკ ობამას** დაბადების მოწმობას წარმოგიდგენთ.

როგორც ცნობილია, ობამას დედა თეთრკანიანია. ობამას მოწმობაში დედის გრაფაში წერია — „კავკასიელი“. ცხადია, ქალბატონი კავკასიელი არ არის, მაგრამ ეს ტერმინი ანთროპოლოგიაში იმდენად მუშა გახდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე გამოიყენება თეთრკანიანი ადამიანის აღსანიშნავად.

**– დავუბრუნდეთ ქართველი ქალის თავის ქალას. რითი არის ის განსხვავებული და განსაკუთრებული?**

– მაგალითად, აფრიკელის სახის დახრის კუთხე 70 გრადუსია, ევროპელის სახის დახრის კუთხე, ძირითადად, 80–85 გრადუსამდეა. ბლუმენბახმა წარმოადგინა თავის ქალა, რომლის დახრის კუთხე 90 გრადუსია და ეს ქართველი ქალის თავის ქალა იყო.

**პეტრუს კამპერმა** დასვა შეკითხვა, ხომ არ შეიძლებოდა თავის ქალის დახრის კუთხე 90 გრადუსზე მეტი ყოფილიყო? ასეთი რამ აღმოჩნდა ბერძნული ხელოვნების ნიმუშებში, მითოლოგიური ღმერთების გამოსახულებებში. მაგალითად, ნახეთ, მედეას გამოსახულება ბერძნულ წითელ ამფორაზე (ძვ.წ. 330 წ.), რომელიც ლუვრის მუზეუმში ინახება. მედეას თავის ქალის დახრის კუთხე 93 გრადუსია.

**– 90 გრადუსი, ფაქტობრი-**




61000–25000 წლის წინ ადამიანის მიგრაცია გენის ტიპის მიხედვით



**ვად, ღვთაებებთან მიახლოებას ნიშნავს?**

— ამაზე მე ვერ ვისაუბრებ.

მე შემიძლია გესაუბროთ, მეცნიერული თეორიაზე, რომელიც 61000-დან 250000 წლის წინ ადამიანების მიგრაციას ეხება.

აღმოჩნდა, რომ უხსოვარი დროიდან საქართველოს ტერიტორიიდან ადამიანები ევროპასა და აზიაში ვრცელდებიან, შემდეგ აზიის გავლით გადადიან ჩრდილოეთ ამერიკაში, მერე სამხრეთ ამერიკაში და ასე განიფინებიან მთელ მსოფლიოში.

**თანამედროვე კვლევებით, მტკიცდება, რომ თეთრი ადამიანი საქართველოდან გავრცელდა!**



იოჰან ბლუმენბახი

**— რითი არის განსაკუთრებული ანთროპოლოგიაში დახრის კუთხე?**

— სიმეტრია სილამაზესთან და დახვეწილობასთან არის დაკავშირებული. ბლუმენბახი კიდევაც წერდა: „ქართველი ქალის თავის ქალა ძალიან სიმეტრიულია, მშვენიერი და ელეგანტურიო“.

ზემოთ გითხარით, **ღვთაებებს გამოხატავდნენ სიმეტრიული ნაკვთებით და რეალობაში ასეთი სიმეტრია ქართველი ქალის თავის ქალაზეა წარმოდგენილი**.

**— ანუ გამოდის ისიც, რომ კაცობრიობის განვითარებაში კავკასიური რასის მოძრაობამ მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია და მეტიც, მეტყველებაშიც ბევრი კავკასოიდური ელემენტი შევიდა და დამკვიდრდა?**

— დღეს უკვე ცნობილია, ერთი და იგივე ძირისა და მნიშვნელობის დაახლოებით 2805 სიტყვა, რომელებიც მთელი მსოფლიოს ენებში ერთი ძირი-ენიდან არის წარმოდგენილი.

ეს ინფორმაცია ინტერნეტში ჩვეულებრივადაა ხელმისაწვდომი, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ **კაცობრიობის თავდაპირველი სამშობლო არის საქართველო**.

ამას არ ვლაპარაკობ სატრაბახოდ. ეს არის რეალობა.

**— წითელკანიანები, ყვითელკანიანები და სხვები?**

— 245 თავის ქალა შეისწავლა ბლუმენბახმა და 5 ტიპად დაყო ადამიანთა რასა დედამიწაზე: მონღოლოიდური — ყვითელკანიანი რასა, ამერიკული, ანუ წითელკანიანები, კავკასიელი — თეთრი მოდგმა, მალაიური — ყავისფერი და ეთიოპური, ანუ შავი რასა. თუმცა ბლუმენბახის კლასიფიკაციაში ქართველი ქალის თავის ქალას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

**P.S.** როგორც ამ საუბრიდანაც ჩანს და როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ადამიანს პირველად საქართველოს ტერიტორიაზე ჩაჰბერა სული ღმერთმა, რომელმაც ხატად და სახედ თვისად შექმნა იგი.

იქნებ ამიტომაცაა ყველაზე პროპორციული, ანუ ყველაზე მიახლოებული ღვთაებრივ სახესთან ქართველი ქალის სახე და გარეგნობა.

აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გაჩენილი პირველი ადამიანი, კავკასიური რასის ფუძემდებელი, თეთრკანიანი არსება პირდაპირ ღვთიური წარმოშობის ყოფილა. რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს ის ჰიპოთეზები უსაფუძვლო, როცა ზოგიერთი მეცნიერ-მკვლევარი წმინდა ნინოს, წმინდა გიორგის, ღვთისმშობლისა და თვით იესო ქრისტეს კავკასოიდურ, ანუ ქართველურ წარმოშობაზე საუბრობს.

ქვეყნები იგონებენ ლეგენდებს, თხზავენ ისტორიებს, ჩვენ კი ვჩქმალავთ და ვმალავთ, თითქოს გვესირცხვილება ლაპარაკი, რაც სინამდვილეში ვართ, ანუ იმაზე, რომ კაცობრიობის აკვანი საქართველოში დაირწა და ადამიანმა გავრცელება საქართველოდან დაიწყო მსოფლიოში. ამაზე არათუ ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ხელისუფალთაც კი არ აქვთ წარმოდგენა. მაშინ, როცა ჩვენ ვეძიებთ, რაზე ავაგოთ სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, როგორ ვიცხოვროთ მომავალში, გვავიწყდება რომ თვითონ ჩვენ ვართ, თურმე, სამყაროს პირველი ადამიანები და ამის უგულებელყოფას თვით შემოქმედი — ღმერთი არ გვაპატიებს.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18



# „სიყვარულო, ძალსა შენსა“ ანუ კიმსა და დონალდს ერთმანეთი შეუყვარდათ

გაეროში დონალდ ტრამპის გამოსვლა პოლიტოლოგებმა არადიპლომატიურად მიიჩნიეს. მათი შეფასებით, ტრამპის მიერ წარმოთქმული სიტყვა წინასაარჩევნო გამოსვლას ჰგავდა და არა მაღალი პოლიტიკური ფორუმზე სათქმელს. ფაქტობრივად, ტრამპს ახალი არაფერი უთქვამს გაეროს შტაბ-ბინაში. მისი მთავარი გზავნილი საზოგადოებისადმი კვლავ მსოფლიოში აშშ-ის პირველობა იყო. ამასთან, გაიმეორა, რომ მისთვის მთავარია „აშშ უპირველეს ყოვლისა“. თუმცა, ტრამპმა თქვა საინტერესო ფრაზა: „...მე მსოფლიოს კი არა, ამერიკის პრეზიდენტი ვარ...“

ექსპერტებმა გამონათქვამი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზავნილად შეაფასეს. მათივე ვარაუდით, აშშ-მ დათმო ერთპიროვნული ზესახელმწიფოს პოზიცია. თუმცა, შიშობენ, პოზიციების დათმობამ წინ საომარი რიტორიკა არ წამოწიოს.

დონალდ ტრამპმა გამოსვლისას რუსეთი მხოლოდ ერთხელ ახსენა. ისიც მაშინ, როდესაც გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს უსაყვედურა ბუნებრივი გაზის საკითხზე: „უნდა იცოდეთ, ვისგან იყიდოთო“. ამაზე უპასუხეს: „აბა, რითი გავათბოთ ზამთარში ჩვენი მოქალაქეებიო“. თუმცა ეს ტრამპს ყველაზე ნაკლებად აინტერესებს. ასამბლეაზე ტრამპი ირანსაც შეეხო და მოუწოდა მსოფლიოს, გააძლიერონ ქვეყანაზე ზეწოლა, დაუწესონ სანქციები ირანულ ნავთობს. ტრამპის თქმით, ირანი თავისი პოლიტიკით მეზობლებსაც უქმნის საფრთხეს. საინტერესოა, რომ ტრამპს არ დაეთანხმნენ თურქეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტები. აღსანიშნავია, რომთურქეთი არ მონაწილეობს ირანთან გაფორმებულ ბირთვულ ხელშეკრულებაში. ემანუელ მაკრონმა კი პირდაპირ უთხრა: „...ჩვენ თქვენი კარნახით არ ვიმოქმედებთო“. მაკრონმა ასევე განაცხადა: „...უნდა შევინარჩუნოთ ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტი“.

ტრამპი კვლავ განაგრძობს მსოფლიოს გაოცებას. მან განაცხადა: „ადრე ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან კიმ ჩინ ინთან უხეში, მკაცრი ორმხრივი ურთიერთობა გვქონდა. ზაფხულში შევხვდით ერთმანეთს. თბილი მიმოწერაც გვაქვს. ჩვენ უკვე შეგვიყვარდა ერთმანეთი“. იქვე დასძინა, რომ გენასამბლეაზე კვლავ დადასტურდა, რომ აშშ კვლავ პირველ ქვეყნად რჩება პლანეტაზე. ორივე განცხადებამ მსოფლიო საზოგადოების გაუგებრობა და გაოცება გამოიწვია. სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა მუნ ჯინ ინმა კი ახალი უსტარი გადასცა კიმ ჩინ ინისგან.

გაეროს გენასამბლეის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტი რეჯიფ თაიფ ერდოღანი გერმანიას სამდღიანი ვიზიტით ეწვია. თურქეთსა და გერმანიას მართლაც ბევრი საკითხი აქვთ განსახილველი. ეკონომიკის და თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების გარდა ერთ-ერთი მთავარი თემა მიგრანტებია. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომაც გამოდგა ვიზიტი ხანგრძლივი. კანცლერთან მოლაპარაკებების შემდეგ ერდოღანი ქალაქ კიოლნში მეჩეთის გახსნის ცერემონიალს დაესწრო. აღსანიშნავია, რომ მეჩეთი კიოლნში ევროპაში ყველაზე დიდია, რომელიც თურქული მხარის დაფინანსებით აშენდა. თურქულ დიასპორას მიტინგის ჩატარებაც უნდოდა, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ მიოსცა ნებართვა.

აშშ და ისრაელი შეშფოთებულები არიან სირიაში საჰაერო დაცვის დანადგარების შ-300-ის განთავსებით. მათი განცხადებით, ეს გარემოება რეგიონში კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას. ბენიამინ ნეთანიაჰუ ტელეფონით ესაუბრა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს. სავარაუდოდ, უნდოდა, გადაეფიქრებინებინა გადაწყვეტილება, მაგრამ უარი მიიღო. მიუხედავას ამისა, მაინც გეგმავს სირიაში ირანის ჯარებზე შეტევების გაგრძელებას. თუმცა აცხადებს, რომ რუსეთთან კოორდინირებულად იმოქმედებს. ირანელები შიშობენ, რომ ტერორისტების დამარცხების შემდეგ აშშ, კოალიციასთან ერთად, მათ ქვეყანაზე განახორციელებს შეტევას. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეგიონში დაძაბული ვითარებაა და შიშობენ, ახლო აღმოსავლეთში ახალი ძალით არ იფეთქოს ომმა.

მსოფლიოს და არა მხოლოდ რეგიონის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ავღანეთია. მეტიც, იქ დღითიდღე მწვავდება ვითარება. ხელისუფლება მხოლოდ ქვეყნის 40%-ს აკონტროლებს, დანარჩენ ტერიტორიას ან ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები აკონტროლებენ, ან, საერთოდ, უკონტროლოდ არის. აღსანიშნავია, რომ ავღანეთში 17 წელია, კოალიციური ჯარები იმყოფება, მაგრამ თალიბების თარეში ვერ აღკვეთეს. უფრო მეტიც, თალიბები ხელისუფლებას ხშირად თავიანთ პირობებს ახვევენ თავზე. ექსპერტების გათვლებით, 17 წლის განმავლობაში ავღანეთში ნარკობრუნვა 40-ჯერ (!) გაიზარდა. სწორედ ავღანეთის საკითხის განსახილველად შეიკრიბნენ ირანის დედაქალაქში ჩინეთის, ინდოეთის, პაკისტანის, რუსეთის, მონღოლეთის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. მსგავსი შეკრების შედეგებს ტრადიციულად არ ასაჯაროებენ, ამიტომაც მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ, რომ გავიგოთ, რაზე შეთანხმდნენ.

**გია ბურდული**

551 71 27 07

# როგორ ემზადებიან ნაციონალები სამოქალაქო დაპირისპირების და არეულობის მოსაწყობად?



რამდენიმე ხნის წინ ინტერნეტსივრცეში გავრცელდა „სახალხო კრების“ ყოფილი წევრის, მოძრაობა „ქართული მარშის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის **ლაშა ამირეჯიბის** საზოგადოებისადმი მიმართვა. ლაშა ამირეჯიბის განცხადებით, მან არჩევნებთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო, უფრო მეტიც, საგანგაშო ინფორმაციები მიიღო საზღვარგარეთიდან. მიმართვის ადრესატი მოქმედი ხელისუფლებაცაა, რომელიც მისი მისი აზრით, არაფრის მაქნისი აღარ არის. ამ ინფორმაციას ვაწვდი საქართველოს მოქალაქეებს, იმ ადამიანებს ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს. ნაციონალები როდესაც ვინმეს ასე წირავენ, მის რუსეთუმეობაზე და რუსეთის აგენტობაზე ლაპარაკობენ, გრიგოლ ვაშაძეს ერთი თვეა რუსეთიდან შემოყვანილი ჰყავს ძალიან სერიოზული პიარ-სპეციალისტები ვიტალი შკლიაროვი და ალექსანდრე კაცი, რომლებიც მას ეხმარებიან. რა გამოდის, ეს ადამიანები სარგებლობენ ხომ რუსეთის დახმარებით? ეს ნაძირალა ნაციონალები ვინმესკენ ხელს რომ გაიშვერენ, სხვა ბევრ რამესთან ერთად, ესეც უნდა შევახსენოთო. ახლა იმის შესახებ, რას აპირებენ ნაცები იმ შემთხვევაში თუ მათი საპრეზიდენტო კანდიდატი არჩევნებს ვერ მოიგებს. ლაშა ამირეჯიბის ხელთ არსებული ინფორმაციით, **ლევან ვარშალომიძესა** და მის გუნდს დავალებული ჰქონიათ, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ვაშაძეს აჭარაში ხმების 70% უნდა მოუგროვონ. აქ ჩართეს აჭარაში მცხოვრები უცხოტომელები, მეტწილად თურქები, ასევე არაბები და ა.შ. ეს ის ხალხია, რომლებიც სააკაშვილმა ჩამოიყვანა და დაასახლა საქართველოში, მათ მიეცათ აქ ჩაწერის უფლება. ეს ხალხი იმ დროს ყოფილა აჭარაში ჩაწერილი, როცა ფეთჰულა გიულენმა სთხოვა სააკაშვილს. ვარშალომიძის ჯგუფს დავალებული აქვს დიდი ფულის დახარჯვა, რომ მათ ნაცმოძრაობას დამ ის კანდიდატს მისცენ ხმა. დაახლოებით იგივე მდგომარეობა ყოფილა სამეგრელოში, „საქმის“ მოკვარახჭინება როლანდ ახალაიას, გოროზიას, თენგიზ გუნავას და მათ ზონდერებს ჰქონიათ დავალებული.

ლაშა ამირეჯიბი: მისახედია ეს ამბავიც, იმიტომ, რომ სამეგრელო ძალიან სპეციფიური რეგიონია და ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ მართლა წავაგოთ იქ არჩევნები. წავაგოთო იმიტომ ვამბობ, რომ ქართველი ხალხი გადარჩეს, გადაურჩეს ნაციონალების სისასტიკეს, სისხლსა და უბედურებას. გარდა ამისა, ძალოვან უწყებებში (შსს, სპეცსამსახურები, ჯარი და ა.შ.) ნაცების ნარჩენები, რომლებიც ამ უწყებების კონტიგენტის დაახლოებით 40%-ს შეადგენენ, მზადყოფნაში არიან, ნაცმოძრაობა ძალიან სერიოზულად მუშაობს მათთან, არჩევნების შემთხვევაში რამე რომ მოხდეს, ეს ადამიანები მზად არიან ნაცებს ხელი გაუმართონ და დაეხმარონ. ეს აუცილებლად უნდა ვიცოდეთ ხალხნო, რადგან მგონი, ჩვენ მოგვიწევს ყველაფრის ჩვენს თავზე აღება, იმიტომ, რომ ხელისუფლება ვერაფერს აკეთებს. საარჩევნო ფული ქეშად შემოდის თურქეთიდან და სომხეთიდან პატარ-პატარა ნაკადებად, თითო კაცს 4000–5000 დოლარი შემოაქვს. არცერთ სამსახურს არ აქვს უფლება რომ ამ ოდენობაზე ვინმეს კითხოს რატომ შემოაქვთ, შეიძლება შემოიტანო საზღვრიდან. ნაცმოძრაობა და ე.წ. ოდესის ქართველები, დავით ლორთქიფანიძე, რომელიც ოდესის პოლიციის უფროსი იყო, ვინმე მამულაშვილი, მაყიშვილი და რა თქმა უნდა გარეწარი დათო საყვარელიძე, ძალიან „მწარე“ ნაციონალი, რომელსაც სიკეთე არავისთვის გაუკეთებია ქირაობენ ადამიანებს, სანდო პირებს, რომლებსაც ევალებათ საქართველოში ფულის შემოტანა ასე ნაწილ-ნაწილ რა თქმა უნდა, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ. დიდი თანხის გადმორიცხვის ეშინიათ და ასე შემოდიან ადამიანები ყოველდღიურად პატარა თანხებით და ნელნელა მოგროვდება ფული. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არ მინდა ამის თქმა, ის ქართველი მეომრები, რომლებიც უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ, თურქეთის გავლით პატარ-პატარა ჯგუფებად შემოდიან, ვითომ მუშები არიან, რომლებიც თურქეთში მოსავლის ასაღებად იყვნენ წასული. მათ საზღვარზე რომ ეკითხებიან სად იყავითო, ჩაის და ხილის საკრეფად ვიყავიო. ნაცმოძრაობის ლიდერები პირდაპირ ამერიკის საელჩოდან იღებენ დირექტივებს, ისინი ძალიან ხშირად სტუმრობენ საელჩოს, მაგალითად ბოკერია, მისი მეუღლე და კიდევ რამდენიმე კაცი დირექტივის მისაღებად რა და როგორ უნდა გააკეთონ. რაც მთავარია, ამათ ძალიან ეხმარებიან საქართველოს ფარგლების გარედანაც, მინდა ვთხოვო ჩვენს სპეცსამსახურებს რომ სასაზღვრო პოლიციაში გადაამოწმონ სიები ვინ სად და როგორ მიდის. ეს ადამიანები გადიან ქვეყნიდან და ძალიან სერიოზული შეხვედრები აქვთ ამერიკელ და ევროპელ ძალიან მაღალი თანამდებობის პირებთან, რომლებისგანაც დირექტივებს იღებენ. ამხელა ძალა ებრძვის საქართველოს, ბიძინა ივანიშვილს, რომ დაამხონ იგი თავის ხელისუფლებიანად. ადრე პატარა „გრეჩიხამ“ რომ დაიყვირა, პატრიარქი „პლენშიაო“, დღესაც ასეთი მდგომარეობაა. მე როგორც მომაწოდეს ინფორმაცია, ივანიშვილიც „პლენშია“, უფლება არ აქვს გამოვიდეს და თქვას, რომ „მარიხუანის“ თემის ინიციატორი თვითონ არ არის, რომ ის „შემოგდებულია“ და ივანიშვილმა თავის თავზე უნდა აიღოს. არსებობენ ასეთი ადამიანები, მათიას იორში (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი), კრეტინი მეთიუ ბრაიზა (ამ პერსონის წარდგენა დიდად არ ჭირდება საზოგადოებას – მ.ს.) და პიტერ სემნები (ევროკავშირის ყოფილი სპეცწარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში), რომლებიც ძალიან სერიოზულად არიან ჩართული პროცესებში და ეხმარებიან ნაცმოძრაობის ლიდერებს. ბევრი სხვა რამის თქმაც შემიძლია, მაგრამ არ მინდა დაგძაბოთ. საბოლოოდ უნდა მოხდეს ასეთი რამ, თუ ნაცმოძრაობის კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, შემდეგ უკვე იწყება ხალხის გამოყვანა, რუსთაველის გამზირის გადაკეტვა და არეულობა. ასე რომ, ძალიან რთული ვითარებაა, ამ ძალებმა შესაძლოა საპატრიარქო გამოიყენონ, რისი დაჯერებაც არ მინდა.

ხმამაღლა მინდა ვთქვა, რომ მოსალოდნელია არეულობა, რომელმაც ჩვენს კისერზე უნდა გადაიაროს. ამიტომ მეგობრებო, ჩემო ძმებო, ვაჟკაცებო ეს უნდა იცოდეთ. ნაციონალები არ უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში, გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ და ავირჩიოთ არანაციონალი პრეზიდენტი.

მოძრაობა „ქართული მისიის“ წარმომადგენლის **რამაზ გაგნიძის** განცხადებით, მათაც აქვთ ინფორმაცია, რომ დონბასიდან გადმოყავთ ის ზონდერები, რომლებსაც ნაც-რეჟიმის დროს 300.000 ადამიანის დაჭერაში, ადამიანების წამება-გაუპატიურებაში, ახალგაზრდების ქუჩაში ჩახოცვასა და უამრავ სხვა დანაშაულში აქტიურად იყვნენ ჩართული. ისინი მზად არიან არეულობა მოაწყონ, იარაღი აიღონ ხელში და დაამხონ ხელისუფლება. არ დავუშვებთ რომ ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს, რასაც ჩვენი ქვეყანა ვეღარ გაუძლებს. ათასეულობით ადამიანი შევიკრიბებით და კონსტიტუციის ფარგლებში დავიცავთ ჩვენს უფლებებს, რომ სისხლისმსმელი ნაცები ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდნენო.





„კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე **ზაალ კასრელიშვილი**: საქართველოში ყველაფრის უკან, რასაც ოპოზიციური საქმიანობა ჰქვია, ნაცმოძრაობა დგას. მათ ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსვლის შანსი არ აქვთ, სხვათა შორის, მათ არც 2003 წელს ჰქონდათ უმრავლესობით მოსვლის შანსი, არჩევნებში ხმების 17 თუ 18% მიიღეს. ამიტომაც მოაწყეს რევოლუცია, რაშიც შევარდნაძემ შეუწყო ხელი. მათ ახლაც ერთი გზა რჩებათ, რევოლუცია, იმიტომ ცდილობენ არეულობების მოწყობას. მე ამას დესტაბილიზაციას ვერ დავარქმევ, რადგან ეს არეულობა ქვეყნის მასშტაბით არ არის, ხალხის აყოლიებას ვერ შეძლებენ, რადგან რეგიონებშიც უამრავი მოწინააღმდეგე ყავთ. დააკვირდით, მხოლოდ მედიასაშუალებებში ჩანს ოპოზიციური სპექტრი, დედაქალაქში თუ შეკრებენ მცირერიცხოვან მომხრეებს და პატარა არეულობას შექმნიან. ნაცმოძრაობას ავიწყდება, რომ მათ მოწინააღმდეგე უფრო მეტი ყავთ, ვიდრე მომხრე, ხალხთან დაპირისპირებაში აღმოჩნდებიან, 2012 წელსაც დაუპირისპირდნენ ხალხს და წააგეს. ახლაც არათუ წააგებენ, არამედ საბოლოოდ დაიმარხებიან, სხვა ოპოზიციური ძალები არ დაიჭერენ მათ მხარეს.

უცხოური სპეცსამსახურების ხელი ურევია ამ არეულობებში. როდესაც საქართველოსთან დაკავშირებით, ასეთი დადებითი პროცესები მიდის საერთაშორისო ასპარეზზე, მხოლოდ რუსებს აწყობთ აქ ვითარების დაძაბვა. ნაცმოძრაობის ლიდერებს საერთოდ არ აინტერესებთ რა მოყვება ამ არეულობას, ეს განსაკუთრებით სააკაშვილზე ითქმის, მისთვის მხარდამჭერები მხოლოდ საზარბაზნე ხორცია. მეომრების ჩამოყვანა და „სამართლიანობის“ აღდგენა რომ უნდა, ამ დალოცვილს „ბოევიკები“ თუ ყავდა, აგვისტოს ომში გამოეყენებინა, მთელი მსოფლიოს სასაცილო რომ გაიხადა თავი გორში ასფალტზე ხოხვით და ტელეკამერის წინ ჰალსტუხის ღეჭვით. რატომ არ იბრძოლეს ომში მაგისმა ე.წ. სარდლებმა, ჯარისკაცები რომ მიატოვეს და ცხინვალიდან უკანმოუხედავად გამოიქცნენ.

დღეს რაც ხდება, ეს პოზიცია-ოპოზიციის დაპირისპირება არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან თვითონ ნაციონალებსა და მათ სატელიტებს დაყავთ თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნები სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის შორის დაპირისპირებამდე. ვიმეორებ, სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ვერაფერს მიაღწევს, მაგრამ უნდა არეულობა გამოიწვიოს, რომ როგორმე ყურადღების ცენტრში მოექცეს საერთაშორისო დონეზე.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# მივმართავ ქართველ ხალხს – ახლა უნდა ვივაჟკაცოთ, მივიდეთ საარჩევნო ყუთთან და საქართველო ნაციონალებისგან გადავარჩინოთ!

***გვესაუბრება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მწერალი მერაბ შათირიშვილი.***

**— როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ სიტუაციას. მაგალითად, პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს წინასაარჩევნო კამპანიის ნორმალურად ჩატარების საშუალებასაც არ აძლევენ.**

— თუ ამ საკითხების სიღრმეებში წავალთ, გაზეთის ფორმატი ვერ დაიტევს, იმდენად საშიში ნაღმი დევს დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში.

თუმცა, უპირველესად, მინდა გითხრათ, რომ ჩვენს ინტერვიუს მსურს ერთმნიშვნელოვნად გასდევდეს ჩემი განწყობა — ყველაფერი, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში, არის უკუღმართად განხორციელებული კოჰაბიტაციის შედეგი.





რაც შეეხება თქვენს შეკითხვას.

მე მიმაჩნია, რომ სახელისუფლებო პარტიას უფრო მეტ შედეგს მოუტანდა ის ფაქტი, რომ სალომე ზურაბიშვილი „ქართული ოცნების“ კანდიდატად დაესახელებინათ. ამით „ქართულმა ოცნებამ“, გარკვეულწილად, შეიზღუდა თავი.

„ნაცმოძრაობას“ და მიხეილ სააკაშვილს კი სხვა განზრახვები აქვთ. კიდევაც თქვა სააკაშვილმა — ამ არჩევნებით უნდა დავიწყოთ ხელისუფლების დემონტაჟიო. სააკაშვილის მოსაზრებით, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებით ხელისუფლებას ვერ წაართმევ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არჩევნებით შეფუთულ პროცესებში არეულობის დიდი გეგმა დევს.

იმ შემთხვევაში, თუ მათი კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე, რომელსაც რუსეთიდან პიარის ცნობილი სპეციალისტები ჰყავს ჩამოყვანილი — ვერ გაიმარჯვებს, მათ სათადარიგო კანდიდატი ჰყავთ ბაქრაძის სახით.

**— რას ფიქრობთ, რუსეთი ხომ არ ჩაერევა არჩევნებში?**

— ორი ცნობილი „პიარშჩიკი“ უკვე გამოაგზავნეს. თქვენი აზრით, ეს ხალხი ისე წამოვიდა, არავინ იცის რუსეთში და ვერც ვერავინ გაიგებს? ცხადია, საქართველოში არეულობა რუსეთის ინტერესებში შედის. რაც მეტად აიმღვრევა აქ წყალი, მით მეტ „ღლავს“ დაიჭერენ.

სერგეენკოს პირადი მიწერ-მოწერა გაასაჯაროვეს რუსებმა და ამით ის გვითხრეს, რომ ყველაფერი ვიცით, რასაც აკეთებთ და რაც ხდება საქართველოშიო.

დღეს შექმნილი ვითარება იმის შედეგია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკურად და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეცდომები დაუშვა და კიდევ ვიმეორებ, ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა მაშინ, როცა არ გაასამართლა „ნაციონალური მოძრაობა“.

დამისახელეთ მსოფლიოში სახელმწიფო, რომლის მთავრობაც ომს წააგებს და მერე ზეიმობს.

ჰიტლერმა თავი მოიკლა, ნაპოლეონიც გაიქცა ქვეყნიდან, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ?!

**— რომის იმპერატორმა — ოტონმა თავი მოიკლა ბრძოლაში წაგების მერე. ნერონმაც თავი მოიკლა, ხალხის მტრად რომ გამოაცხადეს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ვინმემ აქაც იგივე უნდა გააკეთოს, მაგრამ სინდისმა მაინც შეაწუხოთ და გაჩუმდნენ.**

— დიახ, დიახ. ამიტომ არის აუცილებელი ისეთი კანდიდატის არჩევა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული „ნაცმოძრაობასთან“ და რომ იტყვიან, ცივ წყალს გადაასხამს მათ ელექტორატს.

შემიძლია გითხრათ, სალომე ზურაბიშვილი არის ის კანდიდატი, რომელიც თავს არ დაუხრის „ნაცმოძრაობას“.

მაგრამ, მოდით, დავუშვათ, გაიმარჯვა ბაქრაძემ. ეს იმას ნიშნავს, რომ 2020 წლისთვის ხელისუფლებაში მოვა „ნაციონალური მოძრაობის“ რომელიმე ფრთა.

გასაგებია, რომ ხელისუფლებამ არ გაასამართლა სააკაშვილის რეჟიმი, მაგრამ ჩვენ, ხალხმა ხომ გავასამართლეთ, ხომ გამოვუტანეთ განაჩენი?

გინდა ვაშაძემ გაიმარჯვოს, გინდა — ბაქრაძემ, ორივე შეიწყალებს სააკაშვილს და მერე ნახეთ თქვენ შეწყალებული მიშას ჯლიგინი საქართველოში.

**— რა შეუძლია ასეთ ვითარებაში „ქართულ ოცნებას“?**

— „ქართულ ოცნებას“ რომ შეძლებოდა, აქამდე არ მიიყვანდა საქმეს.

ხომ გახსოვთ, კიდევაც თქვა ბიძინა ივანიშვილმა: მე დავბრუნდი იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ დაშორდა ხალხსო.

ჩვენ სხვა რა გზა გვაქვს, თვითონ უნდა ვიაქტიუროთ, ვიაზროვნოთ სახელმწიფოებრივად, ყოველგვარ უკმაყოფილებასა და გაჭირვებაზე მაღლა დავდგეთ და გადავარჩინოთ არა „ქართული ოცნება“, არამედ ქვეყანა.

შეიძლება ვინმემ დაარწმუნა „ქართული ოცნების“ მესვეურები, „ნაცმოძრაობა“ მაგალითად, „ევროპული საქართველოთი“ ჩავანაცვლოთო, მაგრამ ეს ვერაგული ჩანაფიქრია — ხალხმა შეიძლება მოითმინოს „ქართული ოცნების“ და „ნაცმოძრაობის“ გაუთავებელი პაექრობა, მაგრამ ბოკერიას ვერ მოითმენს.

სამწუხაროდ, საქართველოში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პოლიტიკურ ველზე სხვა ძალები არ ჩანან — „ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ „გირჩი“, „მირჩი“ — ანუ „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობის“ ქოფაკები. როცა საჭირო გახდება, ამ „ქოფაკებს“ დაუძახებენ, უბრძანებენ, რომ ერთ გუნდად შეიკრან და მაშინ იქნება ჩვენი საქმე უფრო უარესად.



მე თუ ვხვდები ამას, ეს არ უნდა იცოდეს „ქართულმა ოცნებამ“?

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო ქართველ ხალხს — ახლა უნდა ვივაჟკაცოთ, მივიდეთ საარჩევნო ყუთთან და საქართველო გადავარჩინოთ. უამრავი ადამიანი ვიცი, ვინც გამოვა ქუჩაში, თავს სასიკვდილოდ დადებს და „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში აღარ დააბრუნებს.

დღეს საქართველოში „ქართული ოცნების“ მომხრეები, ე.წ. „2012-იანელები“, რომლებმაც მოიტანეს გამარჯვება 2012 წელს, ნებისმიერ რაიონში დიდ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ ეს ხალხი არის იგნორირებული. ისინი ცოცხალი თავით „ნაცმოძრაობას“ მხარს არ დაუჭერენ. ეს ადამიანები უნდა შევკრიბოთ. ამიტომ შევქმენით საზოგადოებრივი მოძრაობა „2012-იანელები — ღირსეული საქართველოსთვის“. ჩვენ მთელ საქართველოში გავერთიანდებით. ქუჩაში დავწვებით და „ნაცმოძრაობას“ არ დავაბრუნებთ! ჩვენ ვიქნებით ძალა, რომელიც „ნაცმოძრაობას“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დავუდგებით წინ და ხელისუფლებაში არ მოვუშვებთ! ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

„ქართულ ოცნებას“ და მტერს შორის რომ არ დგას ეს უანგარო, მებრძოლი ხალხი, იმიტომ არის ჩატეხილი ხიდი. 2012 წლის მონაპოვარს არ დავთმობთ. ვერავინ დაგვიდგება წინ.

მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ: „ქართული ოცნების“ და საქართველოს გადარჩენა აქ არის და ჩვენ ამას გავაკეთებთ!

რეგიონებში „ნაციონალებს“ ყველგან უკვე ბაზისი აქვთ შექმნილი ადგილობრივ ხელისუფლებებში. კადრები ჰყავთ შეშვებული ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში — ნათესავი, მეგობარი, ოჯახის წევრი, დეიდა, მამიდა, ყველა ჩასაფრებული ჰყავთ საკრებულოებში და გამგეობებში. უმალავენ ამას ბიძინა ივანიშვილს? არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ვინ დაამხო ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე? — ვინ და თავისმა თანაგუნდელებმა, რომლებმაც შეთქმულება მოუწყვეს.

პირადად მე, ფოთში, 2012-ში ოთხი „მამალი“ ნაციონალი მყავდა გადმობირებული, რომელთაგან ორი ახლა საკრებულოშია „ქართული ოცნების“ სახელით.

ცხვრის ქურქში გახვეული მგლების გარემოცვაშია ბიძინა ივანიშვილი და როდის გაუკეთებენ მუხთალ საქმეს, არავინ იცის.

შესამჩნევი რყევები რომ დაიწყება, მაშინ გაიქცევიან ვირთხები გემიდან და უკვე გვიანი იქნება.

ჩვენ, ხალხმა, ამას წყნარად ვუყუროთ?

თუ არ ვიმოქმედეთ, ეს იქნება ჩვენი მცონარობა, ჩვენი ლუარსაბ თათქარიძეობა და ამას არავინ გვაპატიებს.

ამისთვის შეიქმნა „12-იანელები — ღირსეული საქართველოსთვის“ და არა იმისთვის, რომ რაიმე თანამდებობები გვინდა. ჩვენ ვართ ხალხი, ვინც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გამოვტაცეთ ქვეყანა ხელიდან ნაციონალებს და ახლაც დავდგებით თუნდაც საბედისწერო ბრძოლაში ნაცებისგან საქართველოს გადასარჩენად.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





# ძლიერი რეგიონები



თეთრიწყარო

### თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● თეთრიწყაროში რეგიონული დასაქმების ფორუმი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვემო ქართლის რეგიონის 20-მდე მსხვილმა დამსაქმებელმა და 200-მდე სამუშაოს მაძიებელმა. ფორუმის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ რეგიონში მოქმედ კომპანიებს და აქტიური ვაკანსიების შესახებ მიეღოთ ინფორმაცია. ასევე ადგილზე გასცნობოდნენ ფორუმზე წარმოდგენილ დამსაქმებელთა შემოთავაზებებსა და პირობებს.

ფორუმი გაიმართა ასოციაცია „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG)-ის დასაქმების პროგრამის ფარგლებში და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით. ფორუმი გახსნეს და დასაქმების პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრეს RDFG-ის თეთრიწყაროს განვითარების პროექტის მენეჯერმა ნელი რევაზიშვილმა, RDFG–ის დასაქმების პროგრამის მრჩეველმა ლელა მაისურაძემ და სოციალური სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის უფროსმა მარიამ ბეზარაშვილმა.

დასაქმების ფორუმი მიზნად ისახავს ადგილობრივ სამუშაოს მაძიებლებს გაუადვილოს წვდომა არსებულ ვაკანსიებზე, ხოლო დამსაქმებლებს კი დაეხმაროს ახალი კვალიფიციური კადრების მოძიებაში. ფორუმზე ასევე წარმოდგენილი იყო ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე RDFG-ის თეთრიწყაროს განვითარების პროექტის ფარგლებში გამოცხადებული პირველი საგრანტო კონკურსის რამდენიმე გამარჯვებულიც.

ფორუმს მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მალხაზ სამაშვილი.

● სოფელ ქოსალარში, 11 სექტემბერს ქვემო ქართლის გუბერნატორის შოთა რეხვიაშვილის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლების მოსახლეობასთან შეხვედრისას, ადგილობრივების მიერ სასმელი წყლის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დასახელებული პრობლემის გადასაჭრელად, წყალმომარაგების შიდა ქსელზე შესაბამისი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობაში სასმელი წყლის თანაბარი განაწილება და წყლის რესურსების რაციონალური ხარჯვა.

წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მალხაზ სამაშვილი, მერის მოადგილე ბერდია ხვისტანი და ა(ა)იპ „თეთრიწყარო წყალის“ დირექტორი გიორგი გოცირიძე.

● WASH საკითხების განხილვა: სასმელი წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის სფეროში არსებული გამოწვევების ეფექტიანად გადაჭრისთვის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელთან (CENN).

WASH საკითხების (წყალი, სანიტარია და ჰიგიენა) მოგვარების მიზნით, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვიდან დაიწყება ერთობლივი საპილოტო პროექტები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გოლთეთის საჯარო სკოლაში და სოფელ წინწყაროს საბავშვო ბაღში: შეიცვლება სასმელი წყლის ავზები და დამონტაჟდება ფილტრები, შემოიღობება გოლთეთის სკოლის ტერიტორია.

### დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დედოფლისწყაროს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს კლინიკას ეწვია, სადაც „კოტე მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრი“´უფასო სამედიცინო კონსულტაციებს ატარებს. მოსახლეობას საშუალება მიეცა მიეღო მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის: უროლოგის, ონკოლოგის, გასტროენტეროლოგის, ენდოკრინოლოგის, თავ-კისრის ქირურგის, მამოლოგისა და გინეკოლოგის.

უფასო სამედიცინო კონსულტაციები კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ხორციელდება.

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ჰერეთისკარში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი პირველ მოადგილესთან ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად სამუშოებს ადგილზე გაეცნო. 1750 გრძივ მეტრზე ასფალტბეტონის საფარი დაიგება. საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტის ღირებულება 354000 ლარია.

### ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა, საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე აკაკი ყაჭეიშვილი ნორვეგიის ელჩის მოადგილეს, ვეგარდ სტრენსრელს, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ კრისტინ-აგნეტა ვაჰლბერგს და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორ დავით მელუას შეხვდნენ.

ნორვეგიელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიზანია ათეა-სთან ერთად განხორციელებული იმ პროექტების შედეგების გაცნობა, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებას ემსახურება.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა და სტუმრებმა სხვადასხვა სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.



ჩოხატაური

### სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ სიღნაღში მრავალფუნქციური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი აშენდება. სარეაბილიტაციო სამუშაოები სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა და მერის მოადგილემ თეიმურაზ ბალარჯიშვილმა დაათვალიერეს.

კომპლექსი, რომლის მშენებლობა 2021 წელს დასრულდება, დახურულ საცურაო აუზს, სპორტულ მოედნებს, საკონფერენციო დარბაზს და სასტუმროს მოიცავს. რეაბილიტაციის შემდეგ ქალაქ სიღნაღს საერთაშორისო სტანდარტების მქონე პირველი სპორტული კომპლექსი ექნება.

● საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNISEF) წარმომადგენლობის მხარდაჭერით, 2018 წლის 20 სექტემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით სიღნაღის მუნიციპალიტეტში „მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევას“ ჩაატარებს. კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი მონაცემები შეგროვდება გარემოს დაცვაზე, განათლებაზე, ბავშვთა განვითარებასა და ჯანდაცვაზე. განსაკუთრებული ყურადღება ადრეულ ქორწინებასა და ქალთა ჯანმრთელობას მიექცევა.

### დუშეთის მუნიციპალიტეტში

● დუშეთის „ჯეოჰოსპიტალსის“ ინიციატივითა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით, დაბა ჟინვალში გაიმართა უფასო სამედიცინო აქცია. მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას უწევდნენ კლინიკის სხვადასხვა პროფილის ექიმები. გამოკვლევით 50-მა ადამიანმა ისარგებლა.

აქცია არ არის ერთჯერადი.

● ორგანიზაცია People in Need ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს – „სამოქალაქო ორგანიზაციები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“, რომლის ფარგლებში გაიმართა პრეზენტაცია თემაზე: „ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ზოგადი ასპექტები“. პრეზენტაციას ესწრებოდნენ სოფლად თემთა განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები, დუშეთის ფერმერთა კლუბის წევრები, კოოპერატივების წევრები და მცირე მეწარმეები.



დედოფლისწყარო

### ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● „ბოლნისქალაქობა 2018“. ქალაქ ბოლნისის ისტორიული უბანი მრავალფეროვანმა ღონისძიებებმა მოიცვა: წარმოდგენილი იყო ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო

# ძლიერი საქართველოსთვის




მუზეუმის ექსპონატები; ბოლნისის მუნიციპალიტეტისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების ეთნოგრაფიული კუთხეები; სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ქართული ნუგბარის დეგუსტაცია-გამოფენა-გაყიდვა; ბოლნისის მუნიციპალური თეატრის წარმოდგენა; ზ. ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის ღია სივრცე; ბოლნისის კულტურის სახლთან არსებული შემოქმედებითი კოლექტივების ნამუშევართა გამოფენა და მცირე კონცერტები; ქუჩის თეატრის კოსტიუმირებული თეატრალური წარმოდგენა-კარნავალი; საბავშვო ატრაქციონები და სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც ღამის 10 საათამდე გაგრძელდა.

„ბოლნისქალაქობის“ სტუმრები დაესწრნენ ფოლკლორული მუსიკის ფესტივალს, აირჩიეს საპატიო ბოლნისელები, საწნახელში დაიწურა ყურძენი. დღესასწაულის აპოთეოზი იყო „სუხიშვილების“ კონცერტი.

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხიანად და ვადებში შესრულებაზე ინფორმაციის მიღებაა.

შეხვედრას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მაიზერ ნანავა, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია, სამხარეო ადმინისტრაციისა და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ვადებში და ხარისხიანად დასრულების მიზნით, მინისტრის, მაია ცქიტიშვილის დავალებით, სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართული არიან როგორც სამინისტროს წარმომადგენლები, ისე მშენებლები, ექსპერტები, რეგიონის რწმუნებულის ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდება რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას.

● ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველ ოც ოჯახს და ხანდაზმულებს საჩუქრად გადაეცათ საკვები პროდუქტები, რომლებიც ადგილობრივი ბიზნესმენის, ვაჟა (პანტიკო) თორდიას დაფინანსებით შეიძინეს.

### ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პრეზენტაცია, რომელსაც ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერის მოადგილეები მამუკა პაპასკირი, ირაკლი თოფურია და გიორგი ფარეშიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია და საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის № 632 განკარგულების შესაბამისად, ფოთში მალთაყვის უბნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით, ეკონომიკის სამინისტრომ საპროექტო მომსახურების მომწოდებლის შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ურბანიკა“.

„პროექტში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მაგრამ აქაც არის დიფერენციაცია, ზოგ შემთხვევაში ეს არის საოჯახო სასტუმროები, ზოგ შემთხვევაში სასტუმროები ბუნების მოყვარულთათვის და დიდი ყურადღება ექცევა სპორტული ტურიზმის განვითარებას.

პროექტი ითვალისწინებს რამდენიმე დიდი მოედნისა და ერთი სტადიონის მშენებლობას. გათვალისწინებულია აგრეთვე ცალკე უბანი სპორტსმენებისთვის. აქ დასაქმებულებისა და სტუმრებისთვის იგეგმება სხვადასხვა მიმართულების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. გარდა ამისა, ამავე პროექტის ფარგლებში შემუშავდა კოლიმბარის კუნძულის განვითარების გეგმა აგროპარკის ფუნქციით“, – აღინიშნა პროექტის პრეზენტაციაზე.

● უპოვართა სასადილოს დარბაზს კაპიტალური რემონტი უტარდება. მიმდინარე სამუშაოები ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, მერის მოადგილეებმა მამუკა პაპასკირმა და ირაკლი თოფურიამ დაათვალიერეს.

● სამეგრელოს ქუჩის 120-მეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარი დაიგო. ქუჩაზე სატვირთო ავტომობილების ინტენსიურად გადაადგილების გამო ეს გზა ხშირად საჭიროებს შეკეთებას.

### სენაკის მუნიციპალიტეტში

● აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ თერთმეტი ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილის მეშვეობით თერმული ნისლით დამუშავდა ქალაქი სენაკი. მსგავსი სამუშაოები როგორც ქალაქში, ისე ადმინისტრაციულ ერთეულებში აქტიურად გაგრძელდება.

● უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დანგრეული ხიდის აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობდა და ხიდის კონსტრუქცია უმოკლეს დროში დამონტაჟდა. მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ხიდის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერეს.

### ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● სოფელ ლესიჭინეს №2 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზი 70 სკამითა და მოძრავი ეკრანით აღიჭურვა. პროექტი მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა.


წალკა

### დმანისის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ტატუაშვილმა, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართა შპს „ოპტიმალ გრუპი +“-ის, შპს „არქდიზაინშენისა“ და შპს „არიშის“ წარმომადგენლებთან.

მხარეებმა განიხილეს 2019 წელს გზებისა და წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის პროექტირების საკითხები, ასევე შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა.

შეგახსენებთ, რომ შპს „ოპტიმალ გრუპ +“ წარმოადგენს ზედამხედველობის ორგანოს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურის პროექტებზე, შპს „არიში“ 2019 წლის განმავლობაში დმანისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე პასუხისმგებელი ორგანიზაციაა, ხოლო შპს „არქდიზაინმშენი“ – წყალმომარაგების პროექტირებაზე.

### მარნეულის მუნიციპალიტეტში

● მარნეულის ბაღებში წარმატებით ხორციელდება პროექტი judo-kids. ევროპის სპორტის კვირეულის ფარგლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ნავერიანი, მერიისა და საკრებულოს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ქალაქ მარნეულის № 3, სოფელ წერეთლისა და ყიზილაჯლოს საბავშვო ბაღებს ესტუმრა, სადაც პროექტ judo-kids-ში ჩართული აღსაზრდელების მასტერ-კლასებს დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ძიუდოს ფედერაციის ერთობლივი თანამშრომლობით აღსაზრდელებისთვის ექვს საბავშვო ბაღში სრულიად უფასოდ ფუნქციონირებს ძიუდოს წრეები, სადაც დაახლოებით 200 ბავშვია ჩართული.

### წალკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა ილია საბაძემ, მოადგილესთან ერთად, წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში – სამებასა და საყდრიონში 30 აღსაზრდელზე გათვლილი 2 ახალი საბავშო ბაღი გახსნა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სააღმზრდელო დაწესებულებებით მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებიც ისარგებლებენ. შენობა ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის.

გარდა აღნიშნული ბაღებისა, წალკის მუნიციპალიტეტში ასევე იგეგმება ოთხი ახალი, რეაბილიტირებული საბავშვო ბაღის გახსნა.


ზუგდიდი

## მანანა ნიკოლაიშვილი:

# ამის გაკეთება არ შეიძლება! სკოლის მაღალი კლასები საერთოდ დაიცლება მოსწავლეებისგან!

**საქართველოში სკოლის საატესტატო (CAT) გამოცდები 2011 წლიდან, ორ ეტაპად, მე-11 და მე-12 კლასებში ტარდება. მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს იმ საგნებს აბარებენ, რომელთა სწავლაც დაასრულეს (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია). დარჩენილ 4 საგანში კი (მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, ისტორია) ტესტირებას მოსწავლეები სკოლის დამთავრებისას გადიან. მიუხედავად იმისა, რომ საატესტატო გამოცდებისთვის მოსწავლეები მთელი წლის მანძილზე ემზადებიან, გამოცდებზე ჩაჭრილთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, 2016 წელს 47 098 მოსწავლიდან ზღვარი ვერ გადალახა 11519-მა. 2017 წელს 48 434 მოსწავლიდან ზღვარის გადალახვა 12 803-მა ვერ შეძლო, ამიტომ უფროსკლასელებისა და მათი მშობლებისთვის სასიხარულო აღმოჩნდა ინფორმაცია, რომ გამოსაშვები გამოცდების რაოდენობა შესაძლოა, რვიდან ოთხამდე შემცირდეს.**

**საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მარიამ ჯაშის განცხადებით, შესაძლოა, ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენონ ევროპული ქვეყნების გამოცდილება, სადაც გამოცდები მხოლოდ ოთხ ძირითად საგანში ბარდება — მშობლიური ენა, მათემატიკა, უცხო ენა და ერთი არჩევითი საგანი.**

**„ცალსახად ვფიქრობ, რომ რაოდენობრივად ძალიან ბევრი გამოცდაა, თან გარკვეულ კონფლიქტში მოდის კონკრეტული გამოცდები — სკოლის დამამთავრებელ ეტაპზე მოსწავლემ შეიძლება ჩააბაროს იგივე გამოცდები, რასაც ეროვნულ გამოცდებზე აბარებს, ეს კი ახდენს დუბლირებას და ჯანსაღი პროცესი არ არის" — განაცხადა ჯაშმა.**

**რა შედეგებს მოუტანს გამოსაშვები გამოცდების შემცირება სკოლას და როგორ იმოქმედებს ქვეყანაში განათლების ხარისხზე განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი გვესაუბრა:**



— რამდენიმე დღის წინ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სკოლის გამოსაშვებ გამოცდები რვიდან ოთხამდე შემცირდება. შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნები: ინგლისური, ქართული, მათემატიკა და ერთი არჩევითი საგანი დარჩება და ფუნდამენტური მეცნიერებები ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია გაუქმდება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ



ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან სკოლის დაცლას გამოიწვევს. სკოლა თავზე დაგვემხობა. ეს „კინო" ერთხელ ხომ ვნახეთ? და რა შედეგები მოგვცა? ეს არის საქმის ყოვლად გაუმართლებელი, მტრული და მზაკვრული გამარტივება იმისთვის, რომ გამოსაშვებ გამოცდებზე ნაკლები ჩაჭრილი გვყავდეს და პოლიტიკოსებმა საზოგადოებას თვალში ნაცარი შეაყარონ — აი, ბატონო ავწიეთ განათლების ხარისხიო.

თავის დროზე, მე და თქვენ ვწერდით, რა მოუტანა სკოლას გამოცდების გაუქმებამ. ჯერ მეთორმეტე კლასი დაიცალა, შემდეგ მეთერთმეტე და მეათე ანუ მთლიანად, სკოლის მესამე საფეხური, შემდეგ გაცდენები მეორე საფუხურზე დაიწყო და ბოლოს სკოლაში აღარავინ დადიოდა. იმდენად კატასტროფული ვითარება შეიქმნა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება 2010 წელს იძულებული გახდა გამოცდები აღედგინა. ახლა ზუსტად იგივე წრეზე მიდის ოცნება, ამიტომ ვამბობ, რომ ეს „კინო" ნანახი გვაქვს. ასე აპირებენ გამოცდების ფორმატის შეცვლას და ღრმა რეფორმის გატარებას? რეფორმა კი არა, მთლიანად დაიცლება სკოლები.

**— ხელისუფლება ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაზე საუბრობს, სადაც გამოცდები მხოლოდ ძირითად საგნებში ბარდება.**

— სად, რომელ ევროპულ ქვეყანაში არ არის სასკოლო გამოცდები? როგორ შეიძლება ბავშვს 12 წელი ასწავლო და სკოლა ისე დაამთავრებინო, რომ სახელმწიფო გამოცდა არ ჩაუტარო? 8 კი არა, წლების წინ 12 გამოცდა იყო. მერე 11-მდე და 10-მდეც შეამცირეს და ახლა 8 გამოცდაა, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა დარჩეს. გამოსაშვები გამოცდების შემცირების ნაცვლად, ერთიანი ეროვნული გამოცდები უნდა მოხსნან და საატესტატო გამოცდებს ფორმატი შეუცვალონ. საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად, უნდა შემოვიდეს სამი სავალდებული კრიტერიუმი: ატესტატის რეიტინგი, ატესტატის ქულა და დახასიათება -რეკომენდაცია, რომელსაც სკოლა იძლევა.

**—უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა ამ კრიტერიუმების საფუძველზე უნდა მოხდეს?**

— ამ კრიტერიუმებისა და გასაუბრების საფუძველზე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი რომ იქმნებოდა, რეფორმის სათავეში უცხოელი კონსულტანტები იდგნენ და იქიდანვე განსაზღვრული იყო, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ ერთიანი ეროვნული გამოცდები იმ ფორმით რა ფორმითაც ახლა არის, გაუქმდებოდა.

**— როგორც იცით, მიხეილ ბატიაშვილმა შეფასებისა დაგამოცდების ეროვნული ცენტრის უცვლელი დირექტორი თანამდებობიდან გაუშვა და მის ნაცვლად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი სოფო გორგოძე დანიშნა. თქვენი აზრით, რამდენად გაუმკლავდება გორგოძე ამ მისიას?**

— არ ვიცი ასეთი საკადრო ცვლილება ვის მოუვიდა თავში, რადგან მაია მიმინოშვილი უმაღლესი დონის პროფესიონალია და განათლების დონითაც და სპეციალობითაც სრულიად შეესაბამებოდა იმ თანამდებობას. საერთოდ, ჩემთვის გაუგებარია, რატომ აბრუნებენ სისტემაში ძველ კადრებს, რომლებიც თავის დროზე გაუშვეს. სოფო გორგოძე, მასწავლებელთა სახლის ახალი დირექტორი ბერიკა შუკაკიძე და მინისტრის ახალი მოადგილე ირინა აბულაძე განათლების სამინისტროში ალექსანდრე ლომაიას დროს მუშაობდნენ და მათი დაბრუნება წარსულთან დაბრუნების ასოციაციას ქმნის. საინტერესოა, რატომ გაუშვეს ეს ხალხი სამინისტროდან? კარგი მუშაობისთვის? ხარისხიანი რეფორმა გატარდა რომელიმე? ჯერჯერობით, რა კადრებიც მოიყვანეს, თითქმის ყველა ლომაიას კადრია. ამ ხაზით თუ აპირებენ საკადრო ცვლილების განხორციელებას, მაშინ ჯობია, პირდაპირ ლომაია მოიყვანონ, უფრო ქმედითიც იქნება და ღრმა რეფორმების გატარება სხვა მინისტრებზე უკეთაც შეუძლია.

**— საუბრის ბოლოს აუცილებლად სახელმძღვანელოების გრიფირებაზეც უნდა გკითხოთ. სამინისტროს განმარტებით, გამოვლენილ დარღვევებში შესაძლოა სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნები იკვეთებოდეს, ამიტომ სამინისტრომ ინსპექტირების სამსახურის დასკვნა პროკურატურაში გადააგზავნა. თქვენი აზრით, დადგება თუ არა კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი?**

— სასკოლო სახელმძღვანელობის საკონკურსო წესით შერჩევისა და გრიფირების პროცესი რომ დარღვევებით ჩატარდა, ამაზე არაერთხელ ითქვა. შედეგად, სკოლამ აირჩია სულ სხვა წიგნები და მიიღო სულ სხვა, რაც არის გაუმართავი და კორუფციული ხვრელებით სავსე გრიფირების დებულების დამსახურება. 2015 წელს უნდა გამოცხადებულიყო სახელმძღვანელოებზე კონკურსი, მაგრამ რატომღაც გადაიდო და 2018 წლამდე ორჯერ გაუგრძელდა ვადა. საინტერესოა, რატომ გამოცხადდა კონკურსი დაგვიანებით? 2017 წლის ბოლოს უნდა ჩაებარებინათ საკონკურსო მასალა, კონკურსის დაგვიანებით გამოცხადების გამო ძალიან მცირე იყო სახელმძღვანელოების დაწერისადა საკონკურსო მაკეტების დამზადებისათვის გამოყოფილი დრო. სახელმძღვანელოებისდაწერისთვის იყო შვიდი თვე, რაც არის გამაოგნებლად მცირე დრო და ექსპერტიზისთვის იყო ექვსი თვე. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა რატომ იყო ექსპერტიზისთვის ასეთი გაწელილი დრო, რომლის განმავლობაშიც სოლიდურ ხელფასებს ირებდნენ? ავტორებს წაართვეს ექსპერტებთან შეხვედრისა და აზრის დაფიქსირების უფლება, ხშირ შემთხვევაში არ იყო აპელაციის საშუალება, გრიფირებული სახელმძღვანელოების პრეზენტაცია მოხდა სახელმძღვანელოების გარეშე. ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეული იყო ანონიმურობა. ზოგიერთი ავტორის წიგნები გრიფირების შემდეგ ვერ მოხვდა ე.წ. შესყიდვების სიაში, როგორც ვთქვი მასწავლებლებმა აირჩიეს სხვა წიგნები და სრულიად სხვა წიგნები მიიღეს, რითაც დაირღვა მასწავლებელთა, სკოლების, ავტორების და გამომცემელთა უფლებები. სახელმძღვანელოების ფასი სამინისტროსთვის გაცილებით ღირებული აღმოჩნდა, ვიდრე მათი შინაარსობრივი და მეთოდური გამართულობა. რატომ არ აღმოჩნდა შესყიდვების სიაში ის სახელმძღვანელოები, რომლებიც საუკეთესო იყო და აღმოჩნდა ის სახელმნძღვანელოები, რომლებიც პირველი გრიფირების დროს საერთოდ არ იყო გრიფირებულთა სიაში..როგორც ხედავთ, სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში საკმარისზე მეტი დარღვევაა. რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, ეს სხვა სტრუქტურების დასადგენია და მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ.

**ნელი თორდია**
571 35 36 88



# რას ბურჭალობს ბურჭულაძე

## ანუ აქა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ვერ გაყიდა 9 მილიონად ცოლმა თავისი მომღერალი ქმარი, სახელად პაატა

ქეშას ბლოგი






ყველაფერი რამდენიმე წლის წინ დაიწყო – როცა ბურჭულაძემ პოლიტკაში მოსვლა გადაწყვიტა – გადაწყვიტა და არ დააზანა:

როგორც კონფიდენციალურმა წყარომ გვიამბო, ბატონმა პაატამ ცოლი მიუგზავნა ივანიშვილს – 60 წლის პაატას უკვე სასიმღერო კარიერის გაგრძელება არ უნდა, პოლიტიკაში უნდა მოსვლა და აბა, თქვენ იცით, 9 მილიონი უნდა ამ ამბავსო.

მაშინ ვერ გაუგია ივანიშვილს, რად უნდოდა ბურჭულაძის სასიმღერო კარიერის დასრულებას და პოლიტიკაში მოსვლას 9 მილიონი და არ უყიდია ბურჭულაძე...

აბა, ბანი, იყიდება ბანი, სულ რაღაც 9 მილიონად...

აბა, ბანი, ვინ იყიდის ბანსა?

ბურჭულაძემ ასე არ იყოო, თავად უნდოდათ ჩემი ყიდვა და არ გავიყიდეო, პოლიტიკაში მთხოვდნენ მოსვლას ფულის სანაცვლოდ და ფული არ ავიღე – ისე მოვედი პოლიტიკაში, მოვედი, ვიბოდიალე და გავიქეციო.

ჰოდა, სანამ პოლიტიკაში იყო დიდი ბანი, გაიქცა და ჩრდილოეთს შეაფარა თავი, გაიქცა და რუსეთში გამოჯდა, გაიქცა და რუსულ კულტურას ჩაუჯდა...

რა ფერისაა რუსული ფული, ბატონო პაატა?

სულ ერთია ფულის ფერი, ბატონო პაატა?

ბატონმა პაატამ, მაშინ, რამდენიმე წლის წინ ბრძანა – ივანიშვილმა ჩემზე რომ თქვა, ფულს ვთხოვდი, ტყუილია, მაგრამ არ ვუჩივლებ, იმიტომ რომ მე თბილისში გაზრდილი კაცი ვარ და ვერ ვუჩივლებ, მოვიდეს და თბილისურ პასუხს გავცემო.

მანამდე ვენის ციხეში დაწერა ბურჭულაძის თბილისში გაზრდილმა შვილმა – ვენის ციხის დღიურები.

მანამდე რუსს უმღერა რუსი ჯარისკაცების მემორიალთან...

ახლა, კობას ემუქრება დავითაშვილს – უნდა გიჩივლო შეურაცხყოფისთვისო.

ანუ, ვიღაცას შეიძლება ვუჩივლოთ, ვიღაცას – არა?

ესაა თბილისელობა, ასე ითხოვს თბილისი?

ვერ უჩივლებს ივანიშვილს – ვერა, იმიტომ რომ იცის, ჩანაწერი იქნება სადღაც აუცილებლად, როგორ მიაგზავნა ცოლი, გამყიდეო, სარფიანად გამყიდე და 9 მილიონი მომიტანეო.

ქმარი 9 მილიონზე ნაკლებად ქალმა როგორ უნდა გაყიდო.

მერე იყო, გადაგდებების სერია, გადააგდო ჯაფარიძე, გადააგდო ყველა, ვინც გაეკარა და ვისაც გაეკარა – გადააგდო სახლის მეპატრონეც კი – სადაც ოფისი ჰქონდა – ოფისის ფული არ გადაიხადა, იმ კაცმა, ვისთვისაც ფული არაფერს ნიშნავს, ოფისის ფული არ გადაიხადა – რატომ უნდა გადაეხადა, ვერ მოუტანა ამ ოფისმა მოგება, ვერ გაყიდა ამ ოფისმა.

მერე იყო „ივანანა“ – საერთოდ არაფერი შეხება რომ არ აქვს „ივანანამ რა ჰქმნა?!“-სთან და ძილისპირული რომ იყო მხოლოდ.

ბევრი რამ დაიწერა ამ საქველმოქმედო ფონდზე, დოკუმენტური ფილმიც გადაიღეს – მაგრამ არ შეგვპასუხებია ბურჭულაძე – დოკუმენტურად როცა ვედავებით, იქ შეპასუხება არ უყვარს.

რა ქნას, თბილისელი კაცია და არ შეუძლია დოკუმენტებით საუბარი.

რა ქნას, წლებია დოკუმენტებს ვთხოვთ, არ გვაძლევს და კიდევ აქეთ ველანძღვინებით და მეტი რა ჰქნას, რას ვთხოვთ მეტს.

ხოდა, მე პირველი ვიყავი, ვინც „საერთო გაზეთი“-ს ფურცლებიდან გაგაგებინეთ, რომ გადამგდებია თქვენი ბანი, რომ ჩავიდნენ გურიაში, იმ გურიაში, სადაც გურულები გურულად მოიხსენიებდნენ ამ თბილისელ ვაჟკაცს – 8 სულიანი ოჯახი წაიყვანეს სახლის სანახავად, ოთახები აარჩევინეს ბავშვებს, ფოტოები გადაუღეს ოთახებში და სახლებში, რაღაც დოკუმენტები აკეთებინეს, მერე სოფლის გაშლილ სუფრასთან ჩასკდნენ და წამოვიდნენ.

გავიდა დრო და სახლის მეპატრონეს უთხრეს – გაყიდე სახლი, რას გველოდებიო.

გავიდა დრო და ოჯახის უფროსს უთხრეს – ვინ ხარ, ვის დაკარგვიხარ, არ გიცნობთო.

გავიდა დრო და მე მითხრეს – არ ჩავსულვართ გურიაში, ტყუილია, არ ვყოფილვართ მაგ ოჯახთან საერთოდ, არც მაგათი დოკუმენტები გვაქვს და არც მაგათი ფოტოებიო.

ფეხზე დადგა სოფელი, ობლებს ვის დაგაჩაგვრინებთ, მთელი სოფელი მოწმე არა ვართ – ერთ სუფრასთან არ ვისხედით და ობლების გახარებისთვის არ გლოცავდითო?

რა გზა ჰქონდათ, გაჩუმდნენ, გაისუსნენ – ჩაიმალნენ.

არც იმ დოკუმენტურ ფილმზე გაუღიათ ხმა, სადაც საუბრობდნენ იმაზე, რომ ფულს ათეთრებდა ამ თავისი საქველმოქმედო ორგანიზაციით, ჩრდილოვან და ჩრდილოეთის ბიზნესებზე საუბრობდნენ.

800 ათასის ღირებულების სახლები იყიდეს და ამისათვის მილიონ ორასი ათასზე მეტი ჩაირიცხეს ხელფასები.

სად გაგონილა საქველმოქმედო თანხას აჭარბებდეს ხელფასი?

სად გაგონილა აქამდე?

ნახევარი მილიონით მეტი ხელფასებზე, ვიდრე ქველმოქმედებაში?

ჩვენ რომ ბოლო ლარს ვრიცხავდით, იმ ორგანიზაციამ უნდა აიღოს ნახევარი მილიონით მეტი ხელფასებში?

ამ ორგანიზაციის სულისჩამდგმელი არ იყიდება? – ვის სჯერა ახლა მაგის.

არ იყიდება კი არა – ვერ იყიდება.

ისე, იცოდა, ეტყობა, შეჩვეული იყო, ეტყობა, თორემ, ასე ცა მოწმენდილზე ვის მოუვა თავში თავის გაყიდვა? ყიდულობდნენ, ეტყობა, მანამდე, ჰყავდა, ეტყობა მანამდე მყიდველი – მაგრამ მყიდველიცაა და მყიდველიც, თანხაცაა და თანხაც...

რა ფერის ფული გინდათ, ბატონო პაატა?



ახლაც ნაცების გვერდით დგას, ახლაც იმათ უსწორებს კუდს...

არ ღირს ნაცების გამონაცვალი ბანი 9 მილიონი.

აი, ჩვენ კი ვღირვართ, ბურჭულაძემ და მისნაირებმა ნამდვილად უნდა შემოიტანონ ბიუჯეტში მილიონები – უფასოდ არ ვუსმენდეთ ამათ ბჟუტურს – დავაწესოთ გადასახადი – დამღალა უფასო სისულელებმა – ფული რომ ექნებათ გადახდილი ამ სისულელეების საუბარში, იქნებ უფრო მარტივად ასატანი იყოს მოსმენა.

და გულწრფელად მაინტერესებს – რატომ გაიწელა ასე ამ საქველმოქმედო ორგანიზაციის ანგარიშების შესწავლა – მესმის, რომ კარგად მღერის, მაგრამ – მით უფრო მეტი მოეთხოვება ხელოვნებასთან ნაზიარებ ადამიანს, რომელიც სხვა ადამიანების ნდობას იყენებს.

თუ ჩვენ ვტყუით და ეს კაცი ცამდე მართალია – ჩვენ დაგვიჭირეთ, ჩვენ, ვინც ფაქტებით ვამბობთ, რომ მატყუარა – დაგვიჭირეთ ცილისწამებისთვის.

თუ არადა, გამოიძიეთ ბურჭულაძის საქმე, კორუფციით დაწებული, ტყუილით გაგრძელებული და ახალი ეთნოდაპირისპირების დაწყების მცდელობით დასრულებული.

თუ არადა, ეგრე როგორ გამოვა, ვისაც რაც უნდა ის თუ უნდა აკეთოს, ვისაც რა მოეპრიანება, იმის თქმა თუა შესაძლებელი?

არ მინდა, ნუ იმღერებს, არ მინდა, ნუ გამოვა საქართველოს სახელით, ისედაც სულ რუსეთის სახელით გამოდის – ნუ იმღერებს, არ გვემღერება ახლა მაინც, ახლა, როცა კაცებს ცოლები ყიდიან და ვერც ყიდიან.

გული მეწურება, როცა ვფიქრობ, რომ ფოტოებს რომ უღებდნენ ბავშვებს სახლის ფონზე, ოთახებს რომ არჩევინებდნენ – უკვე იცოდნენ, რომ ამ სახლს არ იყიდნენ, უკვე იცოდნენ, რომ ტყუილი იყო მათი სიხარული.

გული მეწურება, როცა ვფიქრობ, რომ ვიღაცისთვის საჩვენებლად უნდოდათ ის ფოტოები, რომ ეთქვათ, აი, სახლი ვუყიდეთ და ბედნიერები არიანო.

მე გული მეწურება და ის ოჯახი ისევ მიწურში ცხოვრობს.

მე გული მეწურება, ის ოჯახი მიწურში ცხოვრობს და ეს ითხოვდა კიდევ 9 მილიონს.

555 46 08 04

# „სალხინო“ – უნივერსალური პრეპარატი, რომელიც უამრავ დაავადებას კურნავს

*„სალხინო“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემების ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, პიოლონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, ასევე, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.*

არსებობს მრავალი ლიტერატურული მონაცემი იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან კოლხეთი განთქმული იყო ხალხური მედიცინით. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, ბევრი სახალხო მკურნალია, რომელთაც ცოდნა შთამომავლობით გადაეცემოდათ.

ლეგენდის მიხედვით, მედიცინას სახელი სწორედ კოლხეთის მეფის ქალიშვილის – მედეას საპატივცემულოდ ეწოდა.

დღეს უკვე მრავალი არქეოლოგიური მონაპოვარი ამტკიცებს, რომ მაშინ კოლხეთში სამკურნალო ხელოვნება, თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, იარაღებით, დამოუკიდებელ დარგად არსებობდა, თანაც საგანგებო პროფესიული ემბლემით – გველის გამოსახულებით.

წამალი „სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულიდან ქართული ტრადიციული ხერხით დამზადებული საშუალებაა, რომელიც შეიცავს საპონინებს, იოდს, რკინას, ტრიტერპენ-სალონინს (ციკლამინი), ფლავონიდებს (კამფეროლი და კვერცეტინი), ფენოლკარბოლმჟავებს (სინალოვს, ფერულოვს და სხვ.), ანოტიციანებს და ცხიმოვან ზეთებს, გლაკოზიდური და სადოდინომური ხასიათის შენაერთებს.

„სალხინოში“ შემავალი ნივთიერებების პროცენტული მაჩვენებლებია:

მონოსაქარიდები – 5%

პოლისაქარიდები – 2%

ტრიტერპენოვანი საპონინები – 12–19%

ფლავონიდები – 0,1%

იოდი – 7–10%

ფენოლკარბოლმჟავები – 0,11%

ანტიოქსიდანტური აქტივობა შეადგენს – 39–52%-ს

კუმარინები – 0,%%

მთრთიმლავი ნივთიერება – 1,5 და სხვ.




**„სალხინო“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემების ჩირქოვანი ანთებითი დაავადებვის, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, პიოლონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, ასევე, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.**

ორ ათეულ წელზე მეტია, ფარმაცევტული კომპანია „სალხინოს“ სამეცნიერო საბჭო ქართული ტრადიციული ხერხით დამზადებული პრეპარატების მეცნიერულ და პრაქტიკულ კვლევას ეწევა. ტრადიციული მცენარეული წამლის ეფექტი ხორციელდება მასში შემავალი სამკურნალო ნივთიერებებით. ამას ადასტურებს თანამედროვე სამედიცინო აპარატურით შესრულებული კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევები და აგრეთვე მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ ჩატარებული დაკვირვებები.

თუ გავითვალისწინებთ წამლის მაღალ სამკურნალო ეფექტს, ქიმიურ შემადგენლობას, მიღება-წარმოების ხერხს, აგრეთვე სხვადასხვა დროს მიღებულ სახელმწიფო პატენტებს და კლინიკურ-ლაბორატორიულ დასკვნებს, ასევე ათასობით მადლიერ პაციენტს, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს მისი მაღალეფექტურობა, მაშინ „სალხინოს“ ეფექტი და ორიგინალობა თანამედროვე მსოფლიოს მეცნიერული თვალსაზრისით, საკამათო არ არის. რაც შეეხება წამლის სამკურნალო თვისებებს, მდგომარეობს იმაში, რომ, გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, საჭირო მცენარეები მოიპოვება ეკოლოგიურად სუფთა ტერიტორიებზე.

**დავით ჟანტურია**: „მკურნალობის პირველი კურსის დამთავრებისთანავე ვიგრძენი ენერგიის მოჭარბება, მომიწესრიგდა წნევაც. აღარც ხერხემალი და სახსრები მაწუხებს. ღვიძლი საერთოდ აღარ მახსენებს თავს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „სალხინო“ მართლაც უნიკალური, წამალია, რომელმაც ჩემს ახლობლებს შორის ბევრ ადამიანს შვება მოუტანა“.



**გრიგოლ ვაშაკიძე**: „მქონდა ქოლეცისტიტი, რაც „სალხინოს“ დალევა დავიწყე, მეორე დღესვე ვიგრძენი შედეგები, მომემატა ენერგია. ადრე მარტო მაწონსა და ხაჭოს ვჭამდი, ახლა შემიძლია ყველა სახის საკვების მიღება. თავს ჯანსაღად ვგრძნობ“.

**დალი დარბაიძე**: „მესამე თვეა, რაც „სალხინოს“ ვსვამ და აშკარად უკეთ ვარ.

ვგრძნობდი საერთო სისუსტეს, უმადობას, ხშირად ვცივდებოდი. „სალხინოს“ მიღების შემდეგ თავს უკეთ ვგრძნობ. ენერგია მომემატა, ჭამაც დავიწყე, სიცოცხლის ხალისი დამიბრუნდა. მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, მივაგენი საშუალებას, რომელმაც ჩემი განკურნება შეძლო.

**მაკა ვაწაძე**, ექიმი-თერაპევტი: პაციენტებს, რომლებსაც არ აღენიშნებათ ერთი კონკრეტული ნოზოლოგია, აქვთ გამოხატული პრობლემები კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მხრივ, ნერვული სისტემის მხრივ, სასუნთქი სისტემის მხრივ, უროლოგიური პრობლემები, აუცილებელია ისეთი პრეპარატების შერჩევა, რომ ვუმკურნალოთ ერთ დაავადებას ისე, რომ არ მოხდეს სხვა დაავადების პროვოცირება და რაც შეიძლება ნაკლები გვერდითი ეფექტი ჰქონდეს მედიკამენტს. ამ მხრივ საუკეთესო ალტერნატივა ფიტოთერაპიაა. ამ კუთხით გამორჩეული ადგილი უკავია „სალხინოს“. დღითიდღე იზრდება მადლიერი პაციენტების რიცხვი, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს კომპანია „სალხინოში“ შემავალი სხვადასხვა პრეპარატის სიკეთე.

მე ვაკვირდებოდი პაციენტებს, რომლებიც იღებდნენ წამალ „სალხინოს“. ობიექტური მონაცემების გაუმჯობესების გარდა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში გაუმჯობესდა ცხოვრების ხალისი, გახდნენ შრომისუნარიანები, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

„სალხინო“ ამაღლებს იმუნიტეტს, ეწინააღმდეგება მწვავე რესპირაციულ დაავადებებს, გადამდებ, ჰაერ-წვეთოვან ინფექციებს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, მასტიტებს, მასტოპათიებს და ა. შ“.

**გია დოლიაშვილი**: „ახალგაზრდობისას ბოტკინის დაავადება გადავიტანე, უამრავ ექიმთან ვიყავი, რამდენი რამე მივიღე, ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ ღვიძლის სისუსტეს ყოველთვის ვგრძნობდი. ბოლო ხანებში დამიქვეითდა იმუნიტეტი, განმივითარდა ალერგია. მაგრამ „სალხინოს“ მიღების შემდეგ გამიიოლდა სუნთქვა, ალერგიული ფონი მომეხსნა, იმ პერიოდში სხვა არც ერთ წამალს არ ვსვამდი. ყველაფერი „სალხინოს“ მოქმედების შედეგია“.

**პეტრე სოსელია**: „ცუდი მდგომარეობა მქონდა პირის ღრუში, ღრძილებიდან შემაწუხებელი გამონადენი და სუნი მაწუხებდა. როგორც კი დავლიე წამალი „სალხინო“, მთლიანად გამომისუფთავდა პირის ღრუ. უკვე თვეებია ვსვამ „სალხინოს“. ორგანიზმის გაძლიერებას ვგრძნობ, თითქოს ხელახლა დავიბადე. მიუხედავად იმისა, რომ 86 წელს ვამთავრებ, თავს ჯანსაღად ვგრძნობ“.

**როინ ნაჭყებია**, კომპანია „სალხინოს“ დამაარსებელი, სახალხო მკურნალი: „არ არსებობს ისეთი რთული დაავადებები, როგორიც არის, მაგალითად, პროსტატიტი, თირკმელის დაავადებები, კუჭ-ნაწლავის დაავადებებ, რომლებსაც არ შველის წამალი „სალხინო“. სასურველია, მკურნალობის კურსი ოთხი-ხუთი თვე გაგრძელდეს.

ჩვენ ყველა პაციენტის ნოზოლოგია და მკურნალობის მიმდინარეობის შედეგები ოფიციალურად გვაქვს აღრიცხული. დაინტერესებულ პირებს შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომელი დაავადებები რამდენ ხანში განიკურნა „სალხინოს“ დახმარებით.

მერწმუნეთ, „სალხინო“ უებარი საშუალებაა, არა მხოლოდ დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, არამედ პროფილაქტიკისთვისაც. ის უნარჩუნებს ორგანიზმს ენერგიას, საერთო ტონუსს, უძლიერებს იმუნიტეტს და მედეგს ხდის ორგანიზმს სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

**მიიღეთ „სალხინო“, თქვენი ორგანიზმის ერთგული მკურნალი, გამაჯანსაღებელი და მაცოცხლებელი საშუალება, რომელიც ქართული ფლორის კიდევ ერთი საოცრებაა!“**

**წამალი აფთიაქებიდან გაიცემა ურეცეპტოდ.**

**ტელ.: 577 49 94 84**

**www. salkhino.ge**

**მოამზადა**
**ირანდა კალანდაძემ**

## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001